სახალხო გაზეთი

№ 1053 ოთხშაბათი, 27 ნოემბერი 1913 წ. № 053

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედონი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სრულ არ ინახება; ინახება ერთ თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა [illegible] კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი ნოემბრიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 1 მ. 50 კ.

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.

ეკატერინე, ნიკოლოზი და ექიმი **ივანე ასათიანები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას, ფილტვების ანთებით, პირველი—დაუვიწყარი ასულის და მ. ნარჩენნი—დის

ეკო გაბრიელ-ასათიანის ასულისას.

დაკრძალვა მოხდება ქ. ახალციხეში ოთხშაბათს, 27 გიორგობისთვეს. 832

მიხეილ სოლომონის ძე შვილებით: **ალექსანდრე, ბარბარე, სოლომონი, ნიკოლოზი** და **დავით კაპანაძეები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი ძვირფასი მეუღლის, ხოლო მეორე ძვირფასი დედის

ნინო სიმონის ასულის კაპანაძის

გარდაცვალებას. მიცვალებულს გამოასვენებენ დღეს დილის 10 საათზედ საკუთარ ბინიდან, ჩუღურეთი, გონჩარნი ქ., № 21, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა მოხდება კუკ. წმ. ნინოს სასაფლაოზე. 836

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** წარმოდგენა 25—8.

ქ-ნ ნინო ჩხეიძის ბენეფისი.

ხუთშაბათს, 28 ნოემბერს, ქართულ დრამატიულ საზოგად. დასის მიერ წარმოდგენილ იქნება პირველად ტფილისის ქართულ სცენაზე ცნობილი პიესა ჟულავსკისა

ეროს და ფსიქეა,

6 მოქმ. თარგმანი ბაბილინასი.

მონაწილეობს მთელი დასი და სახალხო სახლის სცენის მოყვარენი.

დასაწყ. სწორედ საღამოს 8 ს. ✦ ადგილების ფასი **საბენეფისოა.**

რეჟისორი **მ. ქორელი.** ადმინ. ქართ. დრამ. საზ.

ანონსი: მზადდება წარმოსადგენად: „დამარცხებული რომი", „სინათლე", „დონ კარლოსი", „მარია სტიუარტი", „ჰამლეტი" და სხვ. 2599



პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპ., მუშტაიდ, შესავალთან. ნ. კუნდუროვის ადგილზე

დღეს, 27 ნოემბერს, 1913 წ. გამართება

დიდი საგასტროლო წარმოდგენა.

უკანასკნელი დღეები ფალავანდთა. finale ჭიდაობა საჩუქრებზე.

ვახტუროვმა, რადგანაც ხალხმა არ დაუჯერა დაშავება რომელიც მიიღო ჭიდაობის დროს, გადასწყვიტა დარჩენა კიდევ რამოდენიმე დღით, რომ იმართლოს თავი.

დღეს ჭიდაობენ: კულა გლდანელი და ფონ სონადო, გადამწყვეტი რევანში—ვახტუროვი და ციპსი. გადამწყვეტი რევანში—კოპიევი და კაინი.

834 დირექცია ძმ. ესიკოვსკებისა.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქვენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი მ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი ბ. მ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს. **ფიდოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. **ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი მ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 1½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალ თა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **მერბიცკი-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულბ.	**ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½ **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფიდოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. **ფონდოვი გ ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და შილების კატეტერიზაცია, „606" და „914" **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა. ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1466

ყოველ-კვირეული სალიტერატურო ჟურნალი

„ს უ ს ხ ი"

გამოდის ამა წლის პირველ დეკემბრიდან.

დ ა ი ბ ე ჭ დ ე ბ ა

ლექსები, მოთხრობები, სცენები დღევანდელ პირ-ვერამზე, იგავ-არაკები სხვადასხვა საგნებზე, სურათები გამოჩენილ პირთა და მოღვაწეთა, კარიკატურები და გასართობები.

ხელის მოწერა: წელიწადში 2 მან. 50 კაპ. ცალკე ნომერი 5 კ. ფულის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად ფოსტის მარკებით.

მისამართი: Тифлисъ, Мухранская ул. № 12, журналъ „С У С Х И".

სარატოვის მექარხნენი „ე. ე. მაიერ"-ის

სავაჭრო სახლი

ტფილისი, ერევნის მოედ. „კავკაზის" სასტუმროს ქვეშ, ტელეფ. № 13—15

ამით ვაუწყებთ ჩვენს პატივცემულ მუშტრებს, რომ წარსულ წელთა მიხედვით, გადავსწყვიტეთ მომავალ დღესასწაულებისათვის გავმართოთ

ვ—ა—ჭ—რ—ო—ბ—ა

მაღაზიაში მყოფ ყველა საქონლის 20—30⁰/₀₀-ის დაკლებით

საკუთარ ქარხნებში დამზადებულ საქონლის გარდა, მაღაზიაში გვაქვს:

შალეულის ქსოვილები, აბრეშუმი, საკუთრივ თეთრეულის განყოფილება და საუკეთესო ქარხნების ტილო. 1607

ნოემბრის 25-დან 10 დღით. ესე იგი, 1913 წ. 5 დეკემბრამდე.

გორის პირველი კერძო

სამკურნალო

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

კობერიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე.

მესხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

ბრიუკნერი ვ. ბ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფობა ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

გინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ., ცალკე ოთახი 4 მ.

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკრო-ქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა, აგრეთვე ათაშანგის Wasserman-ი.

წამლობა „606", „914". 1604

ბენახვამდე

ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა **გ. მეჭრაბიანცი**

დაბრუნდა უცხოეთიდან და განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა— **ჭლექი**— და გულისა. შეთანაბრებული სპეციფიური **ტუბერკულინური წამლობა. ხელოვნური პნევმოტორაქსი. რენტგენის ელვახებური სხივებით ფილტვებისა და გულის გაშუქება.**

ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ.

9—10 სათ. **სანეულებს უფასოდ.**

ბებუთოვის ქ. სახ. 23, ტელეფონი 7—92. 1516

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

კ ი მ ო ნ ო

რ. ა. პორტუგალოვისა

იუწყება, რომ **საქარხნო მაღაზიაში** (კუკიის ხიდზე № 23—24).

მიღებულია დიდ-ძალი ჩრდილოეთის შალეული ტანისამოსი კაცებისა, ქალებისა და ბავშვებისათვის.

აგრეთვე საუკეთესო კოსტიუმები კაცებისა და ქალთა ქვედა ტანი,

ახლად მიღებული საქონელი:

იყიდება ძლიერ იაფად სეზონიდან დარჩენილი საქონელი საქარხნო ფასებზე 30⁰/₀-ის **დაკლებით.** ვიმედოვნებთ, რომ საქარხნო მაღაზიაში საქონლის მსყიდველნი კმაყოფილნი დაგვრჩებიან.

აქვე შეიძლება ყოველგვარი შეკვეთა.

1491 პატივისცემით რ. ა. პორტუგალოვისა.

კ ი მ ო ნ ო

ვაგზლის კერძო

სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

გ. ს. გამყრელიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი ოთხელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

მ. გ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606"-ით 1462

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახ. აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შეიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — 5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმ ლ. ლ. გოცირიძის სამკურნალო ქალ. ბაქოში

მუდმივ საწოლებით:

სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.

ფასი მორიგებით.

ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1603

დ ო ქ ტ ო რ ი

ი. ო. უკლადნიკოვი

ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობა.

მიიღებს კვირა დღის გარდა დილით 9—10 ს. საღამოთი 6—7½ ს. კვირაობით 11—12 საათამდე. ოლღას ქ., № 22, ტელეფონი № 12—25. 751

ქ. გ ო რ შ ი

ექიმი (დოკტორანტი). **მ. დ. წინამძღვრიშვილი**

ყოფილი. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდაპირ. 1571

ექიმი პ. ლ. კიკალიშვილი იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5½ საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა № 2, ტელეფონი 15—27. 1502

ექიმი მღვდელი **ს. ა. ლეჟავა**

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევ, შაბათ და დღესასწაულების წინა დღეებისა, ნაშუადღევის 4 ს.-დან 7 ს.-მდე. ალექსანდროვის ქ. 41, ტელ. 16—57. 779

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **აქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 737.

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე**

გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9.

იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ექიმი ზ. ა. მიქელაძე 15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ექიმი ვ. მუსხელიშვილი მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **ს. კაკაბაძის „ვეფხის ტყაოსნის" გამოცემა.** „ვეფხის ტყაოსანი" ს. კაკაბაძის რედაქტორობით, რომელიც დეკემბრის ბოლოს უნდა გამოვიდეს, უკვე იბეჭდება. ამ გამოცემას დართული ექნება სურათები მე-XVII საუკუნის მინიატურებიდან აღებული. ეს სურათები უკვე შეკვეთილია. რადგან გამოცემა ძვირად ჯდება და ხელის მოწერა ხარჯის მცირე ნაწილსაც ვერ ჰფარავს, ბ ნ კაკაბაძეს განუზრახავს გამოცემის თანხის გასაძლიერებლად საჯარო ლექციების წაკითხვა ტფილისსა, ქუთაისსა და ბათომში. თემები აღებული იქნება საქართველოს ისტორიიდან. ტფილისში ლექცია შესდგება ქართულ თეატრში 2 დეკემბერს, ორშაბათს, თემაზე: საქართველო ერეკლე მე-II-ს დროს.

✦ გამოვიდა ახალი წიგნი **„ისტორიული საბუთები"** წიგნი III, გამოცემა სარგის კაკაბაძისა. წიგნში მოთავსებულია ქართული სიგელ-გუჯრები მე-XV—XVI საუკუნისა, შეიცავს 92 გვერდს დიდი ფორმატისას და ღირს ექვს აბაზად.

✦ **ახალქალაქის მცხოვრებმა ქართველობამ** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე **შუამდგომლობა აღძრა,** რათა ახალქალაქის სამოქალაქო სასწავლებელში, სადაც უმრავლესობა ქართველი ბავშვებია, ასწავლონ ქართული ენა. ამ ორი წლის წინად დადგენილი ყოფილა, რომ სასწავლებელში ქართული ენაც ესწავლებინათ, მაგრამ სათანადო თანხის უქონლობისა გამო დღევანდლამდე ვერ მოუყვანიათ სისრულეში. ამ შუამდგომლობას 51 კაცი აწერს ხელს.

✦ მამულ **„ბოგატირზე"** თავდასხმის გამო ოფიციალურად იტყობი-

ნებიან: 22 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, 15 შეიარაღებული ცხენოსანი თავს დაეცა ყუბანის შაქრის ქარხნის საამხანაგო მამულის კანტორას; ამ ამხანაგობაში მონაწილედ არის მეფის მოადგილის შვილი. მამული მდებარეობს კავკავის რკინის გზის სადგურ გულკევიჩის მახლობლად. კასიდან გაიტაცეს 153 მანეთი, მოჰკლეს ჩაფარი და მამულის მოურავი, მოურავის ცოლი ფეხში დასჭრეს.

◆ **ქუთაისის გუბერნატორის გადადგომა.** ქუთაისის გუბერნატორს გენერალ ა. ი. სლავოჩინსკის ნება დართეს, ორის თვით დასასვენებლად წავიდეს. როგორც დანამდვილებით გავიგეთ, გენერალი სლავოჩინსკი თვის თანამდებობაზე აღარ დაბრუნდება. 1 დეკემბრიდან ქუთაისის გუბერნატორის თანამდებობის აღსრულებას შეუდგება ტფ. პოლიცმეისტერი გენერალი თ. ა. ზახაპკინი.

◆ **მფრინავი კუზმინსკი**, რომელმაც ამას წინად მშვენივრად იფრინა სპარსეთში, ტფილისს ჩამოვიდა.

◆ **მუკუზანისა და იყალთოს მამულების დასათვალიერებლად** წასული კომისია უკვე დაბრუნდა ტფილისს. სოფელ იყალთოში კომისიას აურჩევია ორი დესეტინა მიწა ვაზის საცდელ სანერგეების ჩასაყრელად. მიწის ორპირად დაბარვას ჩქარა შეუდგებიან. მუკუზანში კომისიას აურჩევია 4 დესეტინა მიწა ამერიკულ ვაზის სანერგის გასაშენებლად. ამ ადგილას განზრახულ სამუშაოს გეგმა შედგენილ იქნება ამ დღეებში.

◆ **ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო საბჭოს** ცნობით, ბოლო ხანს ტფილისში შესამჩნევად იკლო ქუნთრუშითა და დიფტერიით ავადმყოფთა რიცხვმა.

◆ **სახალხო უნივერსიტეტის** გამგეობამ დაადგინა, 8 დეკემბერს სახალხო სახლში ცნობილ მწერლის ვლ. კოროლენკოს დღე გამართოს.

◆ **ქალაქის სამშობიარო თავშესაფრის** კურთხევა განზრახულია თებერვლის პირველ რიცხვებისთვის.

◆ **ცენტრალურ სასკოლო ბაღის** ღობის დასათვალიერებლად ქალაქის საბჭოს სატყეო-საბაღოსნო კომისია მომავალ კვირას გაემგზავრება.

◆ **ჟურნალი „მოსავალი“.** გამოვიდა სამეურნეო ჟურნალ „მოსავალი“-ს ოქტომბრის ნომერი, რომელშიაც მოთავსებულია წერილები ვ. რცხილაძისა, ე. იოსელიანისა, ა. კახელაძისა და პ. მელიასი.

◆ **კავკასიის მუზეუმის** ამაშენებელ კომისიის კრება დღეისთვის არის დანიშნული.

◆ **პოლიტეხნიკუმი.** როგორც დანამდვილებით გავიგეთ, მეფის მოადგილე გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი უპირატესობას აძლევს ნავთლუღს. ამ რიგად საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს ნავთლუღის სასარგებლოდ.

◆ განზრახულია დაუკლონ თორნის პურის ნიხრს, რადგანაც მეპურენი, სამეურნეო კომისიის ცნობით, სავალდებულო დადგენილებებს არ ემორჩილებიან და ცუდის ღირსების პურს აცხობენ.

◆ **ქალაქის ახალ სასაკლაოსთან** განზრახულია დაარსდეს ცალკე განყოფილება შინაურ ფრინველების დასაკლავად.

საზოგადოებანი და კრებანი

ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კრება დანიშნულია დღეისთვის. განსახილველია; 1) მოხსენება კახეთის აგრონომისა საგრონომიო პუნქტის მოქმედების შესახებ და 2) მოხსენება საგანგებო კომისიისა, რომელმაც საზოგადოების დავალებით კახეთი მოიარა.

◆ **საყინულეთა მოწყობის საქმის მოღვაწეთა მეშვიდე კრების** საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარედ, როგორც გავიგეთ, ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს თ-დ კ. ხ. აბხაზს ასახელებენ ნაცვლად სენატორ ვატაცისა.

◆ **ტფ. „კრუჟოკ“-ის** წევრთა კრება, რომელიც დანიშნული იყო 25 ნოემბრისთვის, არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო.

ბათომი

◆ ნორვეგიიდან ბათომის საექსპორტო პალატას შეკითხვა მოუვიდა, გვაცნობეთ, რომელ ფირმებს შეუძლიათ **თუთუნის** მოწოდებაო. პალატის ბიურო სთხოვს ადგილობრივ ფირმებს, თავისი მისამართი აცნობონ.

◆ 20 ნოემბერს ინგლისის გემით ნახევარ მილიონ ფუთზე მეტი **მექსიკის ნავთი** მოიტანეს. ეს ნავთი ამიერ-კავკასიის რკინის გზის **სამმართველომ** დაიბარა.

◆ ქალაქის საბჭომ დაადგინა, ბათომში საქალაქო დებულების შემოღების 25 წლის თავის აღსანიშნავად **უფასო სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველო** გახსნას, ქალაქის მეოთხე ნაწილში. (მუშათა უბანია).

ჭიათურა

◆ 23 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე უცნობი ბოროტ-მოქმედნი დაეცნენ ადგილობრივ ვაჭრებს გიორგისა და პავლე ლომიძეებს და რევოლვერით დასჭრეს. მაღაზიიდან არაფერი წაუღიათ. ბოროტმოქმედნი უკვალოდ მიიმალნენ. დაჭრილები საავადმყოფოში წაიყვანეს.

დიდი ჯიხაიში

◆ 10 ნოემბერს გარდაიცვალა 120 წლის მოხუცი—ბიჭია სანაძე. განსვენებულს უკანასკნელ დრომდე სრული მეხსიერება ჰქონდა.

ოზურგეთი

◆ ოზურგეთის **მაზრის უფროსად** დაინიშნა რაჭის მაზრის უფროსის თანაშემწედ ნამყოფი მახარაძე.

ოდესა

◆ **სტუდენტების ველურობა.** ამას წინად ქართველმა სტუდენტებმა რესტორან „ბავარიაში“ დიდი დავიდარაბა ასტეხეს. უმეტესობა უკვე ნაქეიფარი მისულიყო რესტორანში და იქაც რომ მიემატებინათ, სულ გაგიჟებულიყვნენ. სულ მთლად დაასხვრიეს თვით რესტორანი, სკამები, სტოლები გადააბრუნეს და ჭურჭელი დაამტვრიეს. გარდა ამისა სახე დაუშავეს რესტორანის პატრონს დმიტრევიჩს. მხიარულება ალბად მხეცობა ეგონათ და წარმოიდგინეთ, მანდილოსანიც კი არ დაინდეს: ერთს არტისტკას და რესტორანის პატრონის ცოლს გაარტყეს. ერთის სიტყვით, ფორმალური დარბევა მოახდინეს „გმირებმა“. ოთხი მათგანი მ. კვი—ძე, ს. ბერ—ლი და ი. მა—იანი,—დაიჭირეს და ოქმი შეუდგინეს. დანარჩენებს ეძებენ და მათი საქმე „გრადონაჩალნიკს“ გადაეცემა, ასეთი ხალხია ჩვენი სახელის გამტეხელი რუსეთში!..

სოფლად.

◆ **სენაკი.** თანახმად გიორგი ქავთარაძის, ნესტორ ლეჟავასი, ჩხაიძესი და ნესტორ ქავთარაძის შუამდგომლობისა, ქუთაისის გ. გუბერნატ. დაამტკიცა 20 ნოემ. ძველი-სენაკის მომხმარებელი კოოპერატიული საზოგადოების **„შრომის კავშირი“**-ს წესდება.

20 დეკემბრამდე „შრომის კავშირის“ წევრთა რიცხვი 400 მდე მაინც თუ შესრულდა, 10 იანვრისთვის გაიხსნება დუქანი.

„შრომის კავშირის“ წევრთა თაოსნობით, კვირას, 1 დეკემბერს, იმართება ლექცია კოოპერაციაზე. ლექტორად მოწვეულია იასონ გაბილაია.

◆ **ტყიბული.** ტყიბულის ქვანახშირის გამგეს მ-ს დიმიტრიევს ბინიდან მოჰპარეს ორასი თუმანის ნივთეული. ქურდი ვერ აღმოაჩინეს.

შეცდომის გასწორება. გუშინდელ ნომერში ახალ ამბავში მე-19 სტრიქონში შეცდომით დაბეჭდილია: „შესრულებული იქნება განსაკუთრებით ის სიმღერები, რომლებიც ამ ზაფხულის მოგზაურობის დროს **ფოტოგრაფით** გადაიღო“. უნდა იყოს: „შესრულებული იქნება და სხვა, რომელიც ამ ზაფხულის მოგზაურობის დროს **ფონოგრაფით** გადაიღო“.

გუშინდელ „თეატრსა და ხელოვნებაში“ დაბეჭდილია „ქალებმა სძლიეს“ უნდა იყოს ქალებმა სძლიეს.

რედაქციისაგან

ბევრი გვეკითხება, მეორე პრემიამ ასე ძალიან რად დაიგვიანაო. თუმცა ერთხელ გვქონდა გამოცხადებული, მაგრამ, რადგანაც შეკითხვები ისევ მოგვდის, საჭიროდ მივაჩნია ერთხელ კიდევ განვაცხადოთ ჩვენი ხელის მომწერლების საყურადღებოდ, რომ ჩვენი მეორე პრემია—„ქართველი ერის ისტორია“, პროფ. ივ. ჯავახიშვილისა უკვე იბეჭდება. დაგვიანდა იმიტომ, რომ წიგნისთვის საჭირო **სურათები და რუკა** საქართველოსი შეუკვეთეთ პეტერბურგში. რედაქცია ცდილობს, შეძლების დაგვარად, კარგი გამოცემა გამოვიდეს; ეს არის უმთავრესი მიზეზი პრემიის დაგვიანებისა. იმედია ხელის მომწერლები ამისთვის არ დაგვემდურებიან. ამ ჟამად წიგნის 200 გვერდი უკვე დაბეჭდილია.

პოლიტეხნიკუმის ბედი

დღევანდელ ჩვენს გაზეთში მოთავსებულ ცნობიდან მკითხველი გაიგებს, რომ პოლიტეხნიკუმის ბედი უკვე გადაწყდა: მეფის მოადგილემ გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა გადასწყვიტა, პოლიტეხნიკუმი ნავთლუღში აშენდეს. ვინც თვალ-ყურს ადევნებდა პოლიტეხნიკუმის საკითხს, ადვილად მიჰხვდება, რომ საზოგადოების ყველა ნაწილი ერთნაირად ვერ შეხვდება ამ ამბავს. ფართო საზოგადოება დარწმუნებული იყო, რომ საკითხი უსათუოდ საბურთალოს სასარგებლოდ გადასწყდებოდა—იმდენად თვალ-საჩინო იყო ყველასთვის უპირატესობა საბურთალოსი. ჩანს, უმაღლესი წარმომადგენელი მთავრობისა სხვანაირად ფიქრობს, რახან მან ნავთლუღი ამჯობინა. ამრიგად, ძვირფასი საჩუქარი თავად-აზნაურობისა უარყოფილია. დაე აგრე იყოს! თავად-აზნაურობას, რომელიც გულწრფელად ცდილობდა საკუთარის საშუალებით და სხვაზე ზნეობრივი ზედ-გავლენის მოხდენით უმჯობესი ადგილი მიეჩინა მომავალ უმაღლეს სასწავლებლისთვის, ხელთა რჩება საკმაოდ დიდი საკუთარი ადგილი, რომელიც შეუძლიან კარგად გამოიყენოს. ქალაქი საბურთალოს მხრისკენ დღითი-დღე იზრდება; გაივლის კიდევ ცოტა ხანი და იგი ქალაქის ისეთსავე ნაწილად გადაიქცევა, რანაირიც ვერაა. თავად-აზნაურობის მიერ შეძენილი მიწა საკმაოდ დიდი ფონდია, მას შეუძლიან ეს მიწა დასჭრას და ხელსაყრელ, შეღავათიან პირობებში მიჰყიდოს ტფილისის ქართველებს, რომელთა რიცხვი იზრდება და რომელთაც სურვილი აქვთ საკუთრების შეძენისა. თავად-აზნაურობას შეუძლიან თავი იმით მაინც ინუგეშოს, რომ, როცა საჭირო იყო, დახმარების ხელი გაუწოდა პოლიტეხნიკუმს, მაგრამ ეს დახმარება უარჰყვეს. ნაყიდი მიწები კი ისეთია, რომელთაც ფასი ყოველთვის ექნება. ჯერ-ჯერობით ამის მეტი არაფერი შეგვიძლიან ვსთქვათ, რადგანაც არ ვიცი, რა მოტივებით ხელმძღვანელობდა მეფის მოადგილე, როდესაც საკითხს ნავთლუღის სასარგებლოდ სწყვეტავდა.

ტფ. ქალაქის საბჭო

25 ნოემბრის კრება.

კრება იწყება საღამოს რვა ნახევარ საათზე ქალაქის მოურავის მოადგილის **თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის** თავმჯდომარეობით.

ქალაქის მდივანი **მ. ა. ჯაბარი** კითხულობს წარსულ კრების ოქმს.

თავმჯდომარე ხმოსნებს გადასცემს ზოგიერთს ცნობებს, რომლებიც შეეხება კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა კრებას.

ხმოსნების **მ. ვ. ლუნკევიჩისა, გ. ნ. კეილის და გ. ს. თოიძის შეკითხვაზე** თავმჯდომარე შემდეგ პასუხს იძლევა: სახლის პატრონს ბერკოვიჩს, რომელიც სახლს აგებს კრილოვის ქუჩაზე არ დაურღვევია სავალდებულო დადგენილება სახლის სიმაღლის შესახებ, დაურღვევია მხოლოდ სხვა მოთხოვნილებანი, რისთვისაც ბერკოვიჩი სამართალში მიცემული; შესაფერი ღონისძიებანი იქნება მიღებული აგრეთვე მანთაშევის წინააღმდეგ, რომლის ახალი სახლის (განოვის ქუჩაზე) სიმაღლე ნორმაზე დიდია.

აქვე ირკვევა, რომ სავალდებულო საამშენებლო დადგენილებები დეფექტებს შეიცავს და შეცვლას თხოულობს; ქალაქის გამგეობა უკვე შესდგომია შესაფერ მოხსენების შედგენას.

მტკვრის მარჯვენა ტოტის ამოვსების შესახებ, რომლის გამოც წინა კრებაზე ხმოსანმა ი. მ. დოლუხანოვმა შეკითხვა შეიტანა, თავმჯდომარე შემდეგ ცნობებს იძლევა: საკითხი მტკვრის მარჯვენა ტოტის ამოვსების შესახებ მეტად რთულია და მისი გადაწყვეტა დიდს დროს ითხოვს; ამ საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა ყველა იმ მილების დაკეტვა, რომლებიც ამ ტოტში ჩადის; საჭიროა გამორკვევა იმისი, ტოტის ამოვსების შემდეგ წყალი მიხეილის ხიდს ხომ არ დააზიანებს და დასასრულ საჭიროა აგრეთვე თანხმობა იმ მცხოვრებლებისა, რომელთა ტოტის ნაპირებზე სახლები აქვთ; მუშაობა ქალაქის გამგეობას უკვე დაწყებული აქვს და როცა დაასრულებს, შესაფერს მოხსენებას წარმოუდგენს საბჭოს.

ხმოსან ს. ხ. სულხანოვის შეკითხვაზე ქალაქის გამგეობის წევრი მ. ნ. ათაბეგოვი უპასუხებს: მოხსენება ქალაქის თვითმმართველობის შტატების რეორგანიზაციის შესახებ მზად არის, მაგრამ ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვის ავადმყოფობის გამო ჯერ განუხილველია; საპენსიო წესდება დასამტკიცებლად პეტერბურგშია გაგზავნილი.

საბჭო ისმენს ხმოსანთა ერთის ჯგუფის წინადადებას: **არჩეულ იქმნეს მეფეს მოადგილე გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი ტფილისის საპატიო მოქალაქედ.**

წინადადებას საბჭო ერთხმად და ხანგრძლივ ტაშის ცემით იღებს.

შეშის ვაჭრობის მოწესრიგების საკითხის გამო საბჭო ადგენს, გადასცეს იგი სამეურნეო კომისიას დამატებით ცნობების შესაკრებად.

ხმოსნის ა. ს. ბაბოვის შეკითხვაზე **ვერის პარკიდან ქვიშის გაზიდვის შესახებ** პასუხს აძლევს კრების თავმჯდომარე თ-დი ა. მ. არღუთინსკი, რომლის პასუხიც ხმოსნებს არ აკმაყოფილებს და რომელნიც საჭიროდ სცნობენ, რომ ქალაქის გამგეობამ ასეთი საქმე შინაურულად კი არ უნდა გააკეთოს, არამედ ხარჯთ-აღრიცხვაში უნდა შეიტანოს და იჯარით გასცეს.

ღარიბ-მოწაფეთა დამხმარე

ტფ. გუბ. თავ.-აზნაურთა საზოგადოებ. წევრთა საზოგადო კრება

ეს კრებები გუშინ-წინ დასრულდა. პირველი კრება მოხდა გ. ნ. ყაზბეგის თავმჯდომარეობით 21 ნოემბერს. საზოგადო კრება მოწვეული იყო იმ საქმეთა განსახილველად, რომელიც ზაფხულის კრებაზე ვერ იქმნა მოხსენებული. კრებამ თავმჯდომარის წინადადებით ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულ წევრთა თ-დ ი. ზ. ჭავჭავაძისა და ა. ნ. ფურცელაძის ხსოვნას. შემდეგ ამისა თავმჯდომარემ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც კრებას აუხსნა საზოგადოების ნივთიერი მდგომარეობა და განმარტა, რომ ეხლანდელ კრების უმთავრეს საკითხს სწორედ ეს საგანი შეადგენსო. კრებას მოხსენდა გამგე კომიტეტის მოხსენება საზოგადოების მდგომარეობისა და იმ ზომების შესახებ, რაც გამგე კომიტეტის აზრით საზოგადოებამ აუცილებლად უნდა მიიღოს საქმის გასაუმჯობესებლად. მოხსენება შეიცავდა შემდეგ მუხლებს;

1) დივერსია საზოგადოების დაგირავებულ ფასიან ქაღალდებისა.

2. ქალთა კომიტეტის ფონდის გაუქმება.

3. სახლის გაყიდვა ველიამინოვის ქუჩაზე.

4. უმთავრესი შენობის გადაგირავება.

5. სწავლის ფასის მომატება სასწავლებლებში და 25% ნაცვ, 15% გათავისუფლება სწავლის ფულისაგან.

6. საპენსიო ფონდის სასარგებლოდ 20% გადასახადის მოსპობა.

7. 5% გამოკლება სპეციალური ფონდებიდან სახარჯოდ.

8. გამგე კომიტეტის თავმჯდომარედ გუბერნიის მარშლის არჩევა.

9 თავად-აზნაურობისათვის მეორე გირაონობის ფურცლის მიცემა.

კრება გადავიდა მოხსენების მუხლ-მუხლ განხილვაზე.

თავმჯდომარე, ვიდრე მოხსენებას მუხლობრივ განხილვას შეუდგებოდეთ, საჭიროა მოისმინონ ოქმი დეპუტატთა საკრებულოს და კომისიის სხდომისა, რომელმაც შეიმუშავა წარმოდგენილი ზომები.

ოქმის მოსმენის შემდეგ კრება შეუდგა მუხლობრივ განხილვას. 1. ვინაიდან ველ. ქუჩის სახლი თავის ვალით საზოგადოებას არასა ჰმატებს და მისი გაყიდვით კი მოსალოდნელია ნაღდი მოგება 80—100 ათასამდე, გამგე კომიტეტი სთხოვს საზოგადო კრებას მისი დადგენილება ამ სახლის გაყიდვისა დაადასტუროს. გაყიდვის წინააღმდეგნი იყვნენ ბ. გ. რ. გაბაშვილი და ბ. შ. ამირეჯიბი, რადგან მათის აზრით გამგე კომიტეტმა დაწვრილებითი ცნობები უნდა წარუდგინოს ამ საკითხის შესახებ. თავმჯდომარემ უპასუხა, რომ ცნობები თვით მოხსენებაში არის აღნიშნული.

კამათის შემდეგ კრებამ გამგე კომიტეტის წინადადება დაადასტურა.

2) გიმნაზიის შენობის გადაგირავებამ დიდი კამათი გამოიწვია. რადგან ახლა გიმნაზიის შენობას ვალი—გადასახადი ნედოიმკა აწევს 114,000 მანეთი, რაიცა მხოლოდ ჯარიმად 14,000 მ. გადახდას ითხოვს ყოველწლიურად. გამგე კომიტეტი წინადადებას იძლევა სახლი გადაგირავდეს, ზედმეტი ვალი იქნეს აღებული 145 ათასი—მაშინ შესატანი წლიურად მოემატება 10,000 მან. სამაგიეროდ აღარ იქნება შესატანი 14,000 პენი. თუ მეორე სახლის გაყიდვა აჰქარდა, მაშინ ამ შენობის ვალი მოგებით შემცირდება და ეს კი უფრო გააუმჯობესებს საქმეს.

საზოგადო კრებამ მოისმინა ეს კითხვა და ხმის უმეტესობით დაადგინა, გამგე კომიტეტის წინადადება სახლის გადაგირავებაზე მიღებულ იქმნას და მასვე დაევალოს ამის სისრულეში მოყვანა.

3) სწავლის ფასის მომატების საკითხმაც ძლიერ ცხარე კამათი გამოიწვია. არჩეული კომისია საჭიროდ სთვლის სწავლის ფასის თანდათან მომატებას. სწავლის ფასი უნდა გადიდდეს 75 მანეთამდე. ამასთან განთავისუფლებულთა რიცხვი უნდა შემცირდეს 25 პროცენტიდან 15 პროცენტამდე.

ე. თაყაიშვილი იმ აზრისაა, რომ დღევანდელი პირობები მოითხოვენ ამ ზომის შემოღებას, მაგრამ ამ ზომის განხორციელებით იცვლება პირვანდელი აზრი საზოგადოების დაარსებისა—დახმარება გაუწიოს ღარიბ თავად-აზნაურთა შვილებს და შეიცვლება მოწაფეთა შემადგენლობაც. გიმნაზია უმოწაფეოდ არ დარჩება, მაგრამ ღარიბი აზნაურების შვილები კი გიმნაზიიდან გავლენ. მოლაპარაკემ დაუმატა, რომ კითხვა სახლის გადასარჩენად არ უნდა იყოს დაკავშირებული სწავლის საქმესთან. ბ.ბ. ბარნოვი, ი. რატიშვილი, გ. ამირაჯიბი და წინამძღვარიშვილი წინააღმდეგნი არიან სწავლის ფასის მომატებისა.

ბ. ხერხეულიძე თხოულობს, რომ 15 პროც. განთავისუფლება ეხებოდეს მხოლოდ გუბერნიის თავად-აზნაურთა შვილებს.

საზოგადო კრებამ ხმის უმეტესობით დაადგინა: საზოგადო კრება სწავლის ფასის მომატებას 75 მანეთამდე სთვლის უკიდურეს ზომად იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებას სხვა საკმარისი წყარო საქმის გასაუმჯობესებლად არ ექნება.

4. კრებამ მიიღო წინადადება, რომ გიმნაზიის შემოსავლიდან საპენსიო ფონდის სასარგებლოდ 20% გადასახადი მოისპოს.

5. კრებამ მიიღო გამგე კომიტეტის წინადადება, რომ სპეციალური თანხების მოგებიდან საზოგადოების სასარგებლოდ 5% დაექვითოს საქმის წარმოებისათვის.

6. როგორც გუბ. თავ.-აზნ. კომისიამ, დეპუტატთა საკრებულომაც საჭიროდ სცნო საზოგადოების კასების გაერთიანება. გამგე კომიტეტი ეთანხმება ამ აზრს და საჭიროდ სთვლის ქალთა კომიტეტის თანხა მიემატოს საზოგადოების კასას. გამგე კომიტეტი აგრეთვე მოვალეობად სთვლის დააკმაყოფილოს ქალთა სკოლის ყველა მოთხოვნილებანი წინასწარ გათვალისწინებული ხარჯთ-აღრიცხვით წარმოდგენილი ამ ზომით საზოგადოების ანგარიშებში ისპობა „ფონდი ქალთა კომიტეტისა“ და ამ ფონდით აღრიცხული 34 ათ. მან. საზოგადოების პასივს ჩამოშორდება.

სამზ. თავმჯდომარე კნ. მ. **ჯამბაკურ-ორბელიანისა** ჰკითხულობს, ამ ზომით უზრუნველ ყოფილ იქნება ქალთა სკოლის არსებობა ისე როგორც ვაჟთა გიმნაზიისა, თუ არა?

თავმჯდომარე უზრუნველ ყოფილი იქნებაო. ფონდის გაუქმების წინააღმდეგნი იყვნენ: თ. მაღალაშვილი, კ. ყიფიანი, ი. რატიშვილი, ა. მდივანი, კნ. ა. წერეთლისი და სხვა.

გამოითქვა სამნაირი აზრი: 1) ფონდი ისევ ძველებურად დარჩეს, მხოლოდ % არ შეეკვეცოს. 2) გამგე კომიტეტის წინადადება სავსებით მიიღონ. 3) ფონდი მოისპოს, ხოლო აღნიშნულ იყოს ოქმში, რომ სასწავლებლის ფონდი ამ დღისათვის იყო 34728 მან. 57 კაპ.

ხმის უმეტესობით კრებამ დაადგინა, გამგე კომიტეტის მოხსენება დამტკიცდეს, მხოლოდ ოქმში შეტანილი იქნება, რომ ქალთა სკოლის ფონდი ამ დღისთვის იყო 34728 მ. 57 კ., რომელი თანხაც საზოგადოების ვალად უნდა ჩაითვალოს და ბალანსიდან გამოიწეროს.

7. საზოგადოება მხურვალე ტაშით შეეგება გამგე კომიტეტს წინადადებას, განახლებულ იქნას 1894 წლის 20 მაისის საზოგადო კრების დადგენილება რომ გუბერნიის მარშალი იყოს გამგე კომიტეტის თავმჯდომარე და მადლობა გამოეცხადოს ეხლანდელ მარშალს თავ. ნ. აფხაზს მხურვალე მონაწილეობისათვის.

8. კრებამ მიიღო უკანასკნელი წინადადება დეპ. საკ. და კომისიისა, რომ სახლის გადაგირავების შემდეგ თავად-აზნაურობას მიეცეს მეორე გირავნობის ფურცელი იმ თანხების უზრუნველსაყოფელად, რომელიც თავ.-აზნ. ასესხა საზოგადოების სახლის ასაშენებლად. კრების გაგრძელება 22 ნოემბრისთვის გადაიდო.

(შემდეგი იქნება).

ჩვენი ხულიგანები.

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში ქრონიკაში მკითხველი ამოიკითხავს ფრიად სამწუხარო ამბავს. ოდესაში ქართველმა სტუდენტებმა დაარბიეს რესტორანი, სცემეს იქ მყოფთ, არ დაინდეს ქალებიც კი. ეს ჩაიდინეს იმათ, რომელნიც უცხოეთში უმაღლეს განათლების მისაღებად წასულან, რომელთათვის იხარჯება აუარებელი ფული, რომელთაგანაც სამშობლო მომავალში ნაყოფიერ მუშაობას ელის!.. მაგრამ რა უნდა შეჰმატოს ასეთმა ახალგაზდებმა სამშობლოს, როდესაც სტუდენტობის დროს, რომელიც იდეალისტობის და საუკეთესო იდეების ხანად ითვლება, ესენი ისეთ სამარცხვინო საქციელს სჩადიან, რომ ველურებიც კი გაწითლდებიან, მათაც კი შერცხვებათ ასეთი საქციელისა. ისედაც ალმაცერად უყურებს კავკასიელებს რუსეთის საზოგადოება,—ყოველი მხრით ისმის უცხოთა კითხვები: „მართალია, რომ კავკასიაში ქალს მოჰკლავენ, თუ სიყვარულზე უარი უთხრა“-ო, „მართალია, ქართველები დილიდან საღამომდე და საღამოდან დილამდე სვამენ ღვინოსა პირდაპირ რუმბებიდანა“-ო? იმის მაგივრად, რომ გააქარწყლეთ ესეთი ხმები და მართებულად გააცნონ თავისი თავი, ჩვენი სტუდენტობის ერთი ნაწილი, სწორედ ამოწმებს თავის ველურობას ისეთი საქციელით, რომელსაც ვერ შეედრება რუსეთის ნაძირალების ხულიგნობა. ვერ შეედრება, რადგან რუსეთის ხულიგნები ბნელი-გაუნათლებელი ნაძირალებია, ჩვენი ხულიგნები კი უმაღლეს სწავლით აღჭურვილნი, „ინტელიგენტები“. განა გასაკვირია ამის შემდეგ, რომ კავკასიელებზე და კერძოდ ქართველებზე ყოვლად უმსგავსო წარმოდგენა ჰქონდეს რუსეთის საზოგადოებას?

მახსოვს, პირველად რომ ჩავედი ოდესაში, რა პატივი ჰქონდათ დამსახურებული ქართველ სტუდენტობას და საზოგადოებას ოდესის საზოგადოებაში. ხუთი ათასი სტუდენტობისაგან შემდგარ უნივერსიტეტში, ასამდე ქართველს ისე საუცხოვოდ დაეყენებიათ საქმე, რომ თითქოს ისინი უდგნენ სათავეში სტუდენტობის ცხოვრებას, ისინი აძლევდნენ ტონს. 1905 წლის პოგრომების დროს მთელი სტუდენტობის თვალი ქართველებისაკენ იყო მიპყრობილი, ხულიგნებთან საბრძოლველ რაზმებს სათავეში ქართველები და საერთოდ კავკასიელები უდგნენ. 1906 წელს ცენტრალურ ორგანოში 12 წევრიდან ხუთი ქართველი იყო. უნივერსიტეტის გარეშე საზოგადოებაშიც დიდი პატივისცემა ჰქონდათ დამსახურებული. ყველა საზოგადოებაშიაც კი მათთვის ღია იყო კარები.

ახლა კი ახალგაზდა სტუდენტებმა ხულიგანობაში გადააჭარბეს იმ ნაძირალებს, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა განსვენებული კლდიაშვილი და სხვა ქართველები. ქართველებისათვის ყველგან კარები დაიხშო, ოთახების ქირაობის დროს კითხულობდნენ, ქართველები ხართ თუ არაო, ქართველებზე ოთახის გაქირავებაზე უარს ამბობდნენ. ქართველის ხსენებაც კი შიშსა ჰგვრიდა. განა შეიძლებოდა სხვანაირად წასულიყო საქმე, როდესაც ერთი ნაწილი ქართველი სტუდენტობისა არბევდა რესტორანებს, გაჰქონდა ნისია თერძებიდან, თუ წიგნების მაღაზიებიდან და სხვა. ფულის გადახდაზე კი არას დროს არ უფიქრნიათ, პირიქით მოვალეს სცემდნენ ხოლმე და სხვა.

ასეთ სტუდენტების ყოფა-ქცევამ ქართველ საზოგადოებასაც გაუტეხა სახელი. და განა მარტო ოდესაში იქცევიან ასე, განა მარტო ოდესაში უტეხენ სახელს მშვიდობიან მომუშავე ქართველებს ეს ჩვენი ხულიგნები? ყველგან, სადაც კი რესტორანებია და ლოთობა შეიძლება. სამწუხაროდ ჩვენი კორესპონდენტი არ ასახელებს ამ ჩვენი ხულიგანების სახელებს და გვარებს. ქართველმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს, ვინ არიან ეს „გმირები“, რომელნიც არცხვენენ და თავს სჭრიან უცხო საზოგადოებაში თავის თანამოძმე მშრომელ სტუდენტობას. საჭიროა ასეთ „გმირების“ გვარების და სახელების ცოდნა, რათა საზოგადოებამ მათ შესაფერი მსჯავრი დასდოს.

კოლხიდელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

პეტერბურგის ვატმანების უკმაყოფილება.

პეტერბურგის ტრამვაის ვატმანთა შორის დიდი უკმაყოფილებაა. ისინი უკმაყოფილებას აცხადებენ ახალ წესების წინააღმდეგ, რომლის ძალითაც ვატმანები უბედურ შემთხვევის გამო ადმინისტრატიულად ისჯებიან. 21 ნოემბერს ვატმანთა კრება მოხდა; კრებამ სურვილი გამოსთქვა, კონდუქტორისა და საზოგადოების შორის მომხდარი უთანხმოებანი სასამართლომ გაარჩიოს და არა ადმინისტრაციამ. გარდა ამისა კრებამ სურვილი გამოსთქვა, წინადადება მისცეს ადმინისტრაციას გაამრავლოს ვაგონების რიცხვი, რადგანაც უმეტეს შემთხვევაში უბედურება ვაგონებში უადგილობისა გამო ხდება. ადმინისტრაცია უკრძალავს კონდუქტორებს კრების გამართვას. პოლიცია ფხიზლად ადევნებს თვალ-ყურს ტრამვაის მიმოსვლას.

მუშათა შუამდგომლობა.

სათათბიროს წევრს მალინოვსკის ობუხოვის ქარხნის მუშებმა შემდეგი განცხადება გაუგზავნეს:

„ჩვენ, ობუხოვის მუშები, რომელთაც ვიმუშავეთ ქარხანაში 25—40 წელს, დათხოვნილი ვართ 29 ივლისის გაფიცვისათვის. შუამდგომლობა აღვძარით დაენიშნათ ჩვენთვის პენსია. ყოველგვარ სახსარს მოსპობილნი ვცხოვრობდით სახაზინო სადგომებში. ეხლა კი წინადადება მოგვცეს დავცალოთ ბინები მოკლე ხანში, წინააღმდეგ შემთხვევაში, იძულებით დაგვაცლევინებენ. სახლის პატრონნი უმუშევართ არ აქირავებენ ოთახებს, ვართ ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში. გთხოვთ იშუამდგომლოთ საზღვაო მინისტრის წინაშე, რათა სახაზინო ბინებში ცხოვრების ნება მოგვცეს პენსიის მიღებამდე. ქარხნის უფროსმა ჩვენი თხოვნა არ შეიწყნარა“.

დეპუტატს აზრად აქვს ინახულოს საზღვაო მინისტრი და მუშათა თხოვნა გადასცეს.

მუშათა დათხოვნა.

დეპეშათა სააგენტო პეტერბურგიდან იტყობინება: ობუხოვის ქარხანაში გამოკიდებულია განცხადება ახალ მუშათა მიღების თაობაზე. გაფიცული მუშები დათხოვნილნი არიან. საელექტრონო და სარკინისგზო სახელოსნოების მუშები დასტოვეს ქარხანაში. 5000 კაცში მუშაობას შეუდგა 912 მუშა.

ბეჭვდითი სიტყვის კანონ-პროექტი

სათათბიროს კომისიაში.

(დეპეშათა პეტერბურ. სააგენტო).

სათათბიროს კომისია მსჯელობს მე-94 მუხლზე, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრს უფლებას ანიჭებს, უფასო სამკითხველოებსა და ბიბლიოთეკებში აკრძალოს ესა თუ ის გამოცემა ან წიგნი, აგრეთვე დაკეტოს სახალხო სამკითხველოები. გრ. ბენიგსენს წინადადება შეაქვს, უარჰყონ ეს მუხლი, რადგანაც ასეთი უფლება ადმინისტრაციისა აღნიშნული უნდა იყოს საგანგებო დებულებათა პროექტებში და არა კანონში. კომისიამ ბენიგსენის წინადადება მიიღო. მე-95 და მე-96 მუხლის განხილვა გადაიდო. მე-97 მუხლი მიიღეს კომისიის რედაქციით. ამ მუხლის ძალით მოვალეა ყველა, ვინც კი შეიძენს საბეჭდ მანქანას, პოლიციის უფროსს აცნობოს. ეს მუხლი არა ვრცელდება მთავრობისა, საერობო და ქალაქის დაწესებულებებზე. მე-98 მუხლი, რომელშიაც აღნიშნულია კლუბებისა და საზოგადოებათა სამკითხველოების წესები, მთავრობის რედაქციით მიიღეს. მთავრობის პროექტში აღნიშნული იყო, რომ რკინის გზის სადგურებზე წიგნებისა და ჟურნალ გაზეთების კიოსკები უნდა დაექვემდებარონ ჟანდარმთა პოლიციასო. კომისიამ ეს უარჰყო და კიოსკები საერთო წესებს დაუქვემდებარა.

კომისია შეუდგა პროექტის იმ განყოფილების განხილვას, რომელიც ეხება სტამბების, წიგნის სავაჭროების, სახალხო სამკითხველოების და სხვათა გახსნის წესრიგს.

კომისიამ მიიღო ბენიგსენის წინადადება, რომლის ძალითაც სტამბებისა და სხვათა დაარსება ქალაქებში შეიძლება განცხადებითი წესით, ქალაქ გარედ კი ნება დართვითი წესით. მე-99, 100, 101 მუხლები მთავრობის რედაქციით მიიღეს. მე-102 მუხლმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. ამ მუხლის ძალით სტამბებისა, წიგნების სავაჭროების და სხვათა გახსნის მოწმობას აქვს მხოლოდ ორი წლის ვადა; თუ ორი წლის განმავლობაში არ გაიხსნა ზემო დასახელებული დაწესებულებანი, მოწმობა ძალასა ჰკარგავს. ეს მუხლი კომისიამ მიიღო. მიიღო აგრეთვე 103 მუხლი, რომლის ძალითაც ერთი კაცის ხელიდან გადასვლა სტამბისა, თუ წიგნის სავაჭროსი მეორე პირის ხელში 24 საათის განმავლობაში გუბერნატორს უნდა ეცნობოს.

შემდეგ კომისია შეუდგა ქალაქგარედ სამკითხველოების, წიგნის სავაჭროების და სტამბების გახსნის წესრიგის განხილვას.

მთავრობის რედაქციით მიიღეს თითქმის ყველა მუხლი, მცირეოდენის შესწორებით.

საბურთალოს ჭირ-ვარამი

საბურთალოზე აგერ რამდენიმე წელიწადია, რაც აშენდა გ. აბულაძის ფულის შემწეობით ეკლესია წმ. გიორგის სახელობაზე. ეკლესია ნივთიერად მეტად ღარიბია და სასაფლაოც არ აქვს, რაც დიდ ნაკლს წარმოადგენს საერთოდ საბურთალოს მცხოვრებთათვის. მიცვალებულების გასვენება წმ. ნინოს, პეტრე-პავლეს და დიდმის საზოგადოების სასაფლაოებზე უხდებათ. ამ გარემოებას დიდი ხანია ყურადღება მიაქციეს საბურთალოს მცხოვრებლებმა და მოინდომეს თვის შორის წვლილის გამოღებით საერთო სასაფლაოს ყიდვა. ამ საკითხის გადასაწყვეტად შეიკრიბნენ ვეძისთა და საბურთალოს მცხოვრებნი და მოლაპარაკება გამართეს აქაურ მცხოვრებ სევასტი გაჩეჩილაძესთან და მღვდელ გიორგი ჩიქოვანთან, რომლებმაც საბურთალოს მცხოვრებთა დავალებით იკისრეს ამ საქმის თაოსნობა.

მამული, რომელიც შესაფერისად სცნეს მცხოვრებლებმა სასაფლაოდ, და რომელიც ზომით სამი დესიატინა (6 დღიური) იყო, აღმოჩნდა ბ-ნ გრ. დიასამიძისა. ამ მამულის შესაძენად საჭირო იყო ფული და ამიტომაც მცხოვრებლებმა იწყეს ფულის მიბარება მოძღვართან.

მღვდელმა მიჰმართა ბ-ნ გრ. დიასამიძეს, რომელიც დაჰპირდა ეკლესიის და მის მრევლის კეთილ-დღეობისთვის შესაფერ ფასად მიწის დათმობას. სამწუხაროთ, დროთა-ვითარების შემდეგ, ეს საქმე ვერ მოეწყო და ის მიწა ჩაუვარდა ხელში ბ-ნ ს. გაჩეჩილაძეს და მის კომპ.

ბ-ნ გრ. დიასამიძეს ფული ჩააბარეს და სასაფლაოსთვის განზრახული მამული თვითონ შეიძინეს.

მრევლმა შეიტყო ეს და აღელდა, სევ. გაჩეჩილაძე არწმუნებდა ხალხს, სასაფლაოსთვის ამ მიწის ნახევარიც კმარა, ხოლო დანარჩენი (2½ დეს.) კი სამოსახლო ნაჭრებად დაიყოს და ხალხი დასახლდესო.

ხალხი, რასაკვირველია, სამშვიდობო გზას დაადგა, თუმცა ეკლესიამ იზარალა. ეხლა რვა კაპეიკად ნაყიდს მიწას, იმავე საზოგადოებაზე 25—50 კაპეიკად ჰყიდიან.

მეთვალყურე.

პროვოკატორი მასი

ემიგრანტთა წრეებში პარიზში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სოციალისტ-რევოლიუციონერების პარტიის დადგენილებამ, რომ ამ პარტიის წევრი, ალექსანდრე მასი აგენტი-პროვოკატორიაო.

ს.-რ. პარტიაში მასი ერთ-ერთ სახელოვან წევრად ითვლებოდა და დიდს ხანსაც იყო იქ.

1902 წ. ცნობილ ბაქოს ჯაშუშობის გამო ა. მასი დაკავებულ იქმნა, მაგრამ მოახერხა და ამერიკაში გაიქცა საცხოვრებლად.

1907 წ., ამერიკაში ყოფნის დროს მან დიდი ნდობა, დაიმსახურა გერშუნისა და ამის შემდეგ ბევრი საპასუხისმგებლო საქმეები ევალებოდა. რამდენიმე წლის უკან მან ხელგაშლილ ცხოვრებას მიჰყო ხელი; ამ გარემოების ასახსნელად ის ამბობდა, რომ ალიასკაში (ამერიკა) გადახვეწილ ნათესავებისაგან მერგო დიდძალი ქონებაო. ნამდვილი მისი მოქმედება გამოაშკარავა ვ. ლ. ბურცევმა და შეატყობინა პარტიის მეთაურებს. მას დაუსვეს კატეგორიული კითხვები, მაგრამ მან პირველ შეკითხვისათანავე დასტოვა პარიზი. ერთს წერილში ის ამბობდა, თავი უნდა მოვიკლაო.

ამას წინად მას უმოგზაურია რუსეთში, სადაც თავის თავს პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წარმომადგენლად აცხადებდა და ორგანიზაციებშიც კარები ღიათ ხვდებოდა.

ალექსანდრე მასი ეკუთვნოდა დამცველ განყოფილების განსაკუთრებულ ფარულ აგენტთა რიცხვს.

კონფერენცია სომეხთა საკითხის თაობაზე

სომეხთა საკითხის კონფერენცია მოხდა Comite de l' Asie Française-ს სადგომში. გენერალი ლაკრუა თავმჯდომარეობს. დაესწრნენ სხვა და სხვა სახელმწიფოს თვალსაჩინო წარმომადგენელნი. რუსეთის წარმომადგენლად იყვნენ მილიუკოვი, პავლოვსკი და ლორის-მელიქოვი.

მისასალმებელ სიტყვის შემდეგ სომეხთა საეროვნო დელეგაციის თავმჯდომარემ ბოგას-ნუბარ-ფაშამ მოხსენება წაიკითხა სომეხთა საკითხის თანამედროვე მდგომარეობაზე. ამის შემდეგ წაიკითხეს რეზოლიუციის პროექტი. კამათში ბევრმა მიიღო მონაწილეობა, სხვათა შორის, მილიუკოვმაც. მცირეოდენი ცვლილებით მიიღეს რეზოლიუცია, რომლის საბოლოო რედაქციის შემუშავება შემდეგი დღისთვის გადასდეს. რეზოლიუციის დედა-აზრი დაახლოვებით ასეთია: კონფერენციამ მიიღო-რა მხედველობაში სომხეთში რეფორმების აუცილებელი საჭიროება, როგორც სახელმწიფოთათვის, ისევე თვით ოსმალეთისათვისაც, რომ ამ რეფორმების განხორციელებას შეუძლიან იხსნას ოსმალეთის იმპერიის ხელ-შეუხებლობა ევროპის სახელმწიფოთა ჩარევისაგან, რომ რეფორმები სომხეთში სეპარატისტულ მიზნისაგან დაშორებულია და აგრეთვე ისიც, რომ ყოველივე რეფორმის პროექტისათვის ძალის მოსაპოვებლად საჭიროა ევროპის კონტროლი, და სხვა და სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა დაადგინეს: ოსმალეთს არ აღმოუჩინონ არავითარი ფინანსიური დახმარება, არც სესხისა არც სადამოჟნო გადასახადთა გადიდების სახით, ვიდრე ოსმალეთი ფორმალიურად არ მიიღებს ელჩთა მიერ შემუშავებულ პროექტს სომხეთის რეფორმათა თაობაზე.

კონფერენციამ გამოსთქვა სურვილი, რომ თვისი დადგენილება სხვა და სხვა სახელმწიფოთა მთავრობას აცნობოს.

ხმა ოდესიდან

2.

ოდესის უნივერსიტეტს თითქოს სიცოცხლის მსგავსი რაღაც დაეტყო, არაჩვეულებრივი ამბები ჰხდება: იმართება უნივერსიტეტშივე კრებები სტუდენტებისა, ირჩევენ წარმომადგენლებს. ამ საკვირველ ამბავს, აი, რა სარჩული უდევს: სტუდენტთა სასარგებლოდ აქ ოდესაშიაც ყოველწლივ იმართებოდა ბალი, რის შემოსავალიც ურიგდებოდათ უღარიბეს სტუდენტებს. დროთა ვითარებაში, ტოლმაჩოვისა და ლევაშოვის წყალობით, ამ ბალმა თავისი ტრადიციული, საერთო, სასტუდენტო ხასიათი დაჰკარგა, აკადემისტ-სტუდენტების დღესასწაულად გადაიქცა. შემოსავალიც იმათ შორის ნაწილდებოდა, ვისი გულიც მემარჯვენეთა ძეტონით იყო დამშვენებული. ყველა ამის გამო სტუდენტობა სრულიად ჩამოშორდა ამ საქმეს და მონაწილეობას აღარ იღებდა. წელს მოინდომეს მკვდარი საქმის გამოცოცხლება, ჩაბმა ბალის მოწყობაში მთელი სტუდენტობისა და გვპირდებიან კიდევაც, რომ ფულის განაწილების დროს საპოლიტიკო კეთილსაიმედობის საკითხს როდი ექნება ადგილიო. ამის გამო, ყველა ფაკულტეტი ირჩევს რამდენსამე წარმომადგენელს (კურსობით) იმ კომისიაში მონაწილეობის მისაღებად, ბალის მოწყობა რომა აქვს მინდობილი. კრებებს ხელმძღვანელობას პროფესორები უწევდნენ, რადგან შიში და უნდობლობა სტუდენტობისადმი კიდევ ფრიად დიდია. თავის მხრით, სტუდენტობაც უნდობლად ეპყრობა ამ საქმეს; თითქოს ბატონების გულწრფელობა არა სჯეროა, ბევრგან კრებებს სტუდენტობა ნაკლებად დაესწრო. სხვათა შორის, წარმომადგენლებად ბევრი ქართველი აირჩიეს, რამაც „ჭეშმარიტთა“ ყრუ უკმაყოფილებაც კი გამოიწვია.

ბალი 7 დეკემბრისთვის არის დანიშნული. ვნახოთ, მიიღებს იგი მთელი სტუდენტობის დღესასწაულის ხასიათს, თუ დარჩება ისევ აკადემისტ-სტუდენტთა სანავარდოდ და სასარგებლოდ...

⁂

აქაურ „პოლონელთა კლუბში“ 17 გიორგობისთვეს გაიმართა მეორე ქართული წარმოდგენა ბ-ნ უშვერიძის პასუხისმგებ გამგეობით. წარმოადგინეს ი. გედევანიშვილის დრამა „გამცემი“ და ვოდევილი „ორი მშიერი“. სწორედ გითხრათ, იმ ძალებით, რომელიც აქაურ სტუდენტობაში მოიპოვება, დრამის წარმოდგენას და ისიც „გამცემისას“, სადაც ფსიხოლოგიური ელემენტი—ძლიერ დიდის ექვით უყურებდი. წარმოიდგინეთ ყველას გაკვირვება, როდესაც საღამომ გვარიანად ჩაიარა. რასაკვირველია, მონაწილეებს ისეთი კრიტიკით ვერ მიუდგებით, როგორითაც პროფესიონალ არტისტებს; ისე კი ვიტყვით ორიოდე სიტყვას მათ შესახებ. „გამცემის“ შინაარსი მკითხველს, უეჭველია, ეცოდინება და მისი გადმოცემით თავს არ მოვაწყენ. უპირველესად ყოვლისა, აღსანიშნავია თამაში ქ-ნ ა. ბახტაძისა, რომელიც ნინოს როლს ასრულებდა. ამ ქალს უეჭველი სასცენო ნიჭი აქვს, სცენაზე თავისუფლად უჭირავს თავი და დარწმუნებული ვარ, ამ ასპარეზზე კარგი მომავალიც ექნება. ის სცენები, სადაც მონაწილეობდა ქ-ნი ა. ბახტაძე, ყოველთვის ცხოველი იყო, ასეთი გახლდათ, მაგალითად, ის სცენა, სადაც აღელვებული ნინო ატყობინებს თავადიშვილებს, თუ ვინ იხსნა არჩილი სიკვდილისაგან. ამ სცენამ ქართული თეატრი და ნამდვილი არტისტები მომაგონა—მაყურებლებმაც მონაწილენი დიდის ტაშის ცემით დააჯილდოვეს. კარგი კნეინა იყო აგრეთვე ქ-ნი ჯაფარიძისა. ყველაფრად ტიპიური პროპაგანდისტი მიხაკო იყო ბ. დ. ჩიკვაიძე. ბ. ზაქარაიას ძლიერ ძნელი როლი ეკისრნა შაქროსი და, რასაკვირველია, ვერ დაგვაკმაყოფილა. დანარჩენები: ქ-ნნი ბ. წულუკიძისა (მარიკო), ჩაკვაიძისა (არჩილის დედა) და ბ.ბ. ლ. კვალიაშვილი (არჩილი), ვ. თუხარელი (სიკო), ს. მესხი (ლევანი) ჩვეულებრივ კითხულობდნენ როლებსა და ანსამბლი არ დაურღვევიათ. დასასრულ ბევრი აცინეს საზოგადოება „ორ მშიერში“ ბ.ბ. დ. კვალიაშვილმა, კ. ბარნაბიშვილმა და გ. კუპრაშვილმა. უკანასკნელს შესანიშნავი ნიჭი აქვს კომიკისა და თუ სასცენო მოღვაწეობა დაიწყო, თავს გამოიჩენს. საზოგადოება ეხლაც ბლომად დაესწრო და ძლიერ კმაყოფილი დაიშალა. მადლობის ღირსნი არიან ამ საკულტურო გასართობების მოთავენი და ხელის შემწყობნი; მადლობის ღირსია აგრეთვე სტ. ხ. მიქელაძე, რომელიც რეჟისორობას ეწევა.

დასასრულ ერთი რამ: კლუბს რომ ვათვალიერებდი, ძლიერ სასიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვა, ყველგან წარწერები მარტოოდენ პოლონურად არის. წევრთა სიაც მხოლოდ პოლონურად არის დაბეჭდილი და გამოკიდული. მაშინვე მომაგონდა ტფილისის „ქართული“ კლუბი, ჩვენი „კულტუროსნობა“, ისეთი კულტუროსნობა, რომ ყველაფერს რუსულად ვაწარმოებთ, ან და საკუთარ თავს უთარგმნით, რომ რუსულის უცოდინარობა არავინ შეგვწამოს...

ქ. რაჭველი.

თელაველ ქალთა საქმიანობა

იყო დრო, როცა ჩვენი ქალები, ქართველ ფართო საზოგადოების ყურადღებას იქცევდნენ. ერთად შეერთებულ - შეკავშირებულთ მჭიდრო წრე ჰქონდათ და **„ქალთა წრის“** სახელით პირველად თელავში გამოვიდნენ საზოგადო ასპარეზზე და ამით ხმა მაღლა გასძახეს თავის დობილებს: შორს ჩადრი, კმარა უუფლებო ჯდომა, დროა კარში გამოსვლა და საზოგადო ცხოვრების ფერხულში ჩაბმა...

ეს იყო ამ 10—12 წლის წინედ, როცა აქაურმა ქალებმა შექმნეს „თელავის ქართველ ქალთა საზოგადოება“, რომლის მოქმედება მალე თვალსაჩინო გახდა, გახსნეს პატარა სახელოსნო, დაიწყეს ფარდაგების ქსოვა, აბრეშუმის ამოხვევა და სხვ. თუნდა ესეც არა, ისიც კი დიდ საქმედ ჩაეთვლებათ, რომ ხშირ-ხშირად იკრიფებოდნენ, კითხულობდნენ, ბაასობდნენ, ადგენდნენ სამოქმედო გეგმას და სხვა. ამ საზოგადოების უმთავრესი ღირსება ის იყო, რომ იქ ერთნაირად ადგილი ჰქონდა თავადს, გლეხს, მოქალაქეს, სოფლელს, ნასწავლ-უსწავლელ, მდიდარს და ღარიბს და იქნება ეს გახდა მისი დაქვეითების მიზეზიც. ბოლოს და ბოლოს ერთმა წრემ ცალკე გაიწია, შეადგინეს ცალკე საზოგადოება ეგრედ წოდებული „პრაკერის“ საზოგადოება, მამაკაცებიც მიიწვიეს, როგორც წევრებად ისე გამგეობაში და ეს უკანასკნელნი სჭარბობდნენ კიდეც. მაგ. გამგეობაში 4 კაცი იყო და 2 ქალი. კარგად დაწყობილი საქმე უკუღმა დატრიალდა, ერთი ღონიერი საზოგადოება ორ სუსტად გაიყო და მალეც ცალცალკე მოესპოთ თვისი არსებობა.

ამ საზოგადოების დამაარსებელი და ხელმძღვანელი იყო ჩვენი ცნობილი ჟურნალისტი იოსია ზარაფიშვილი (ნადიკვრელი), რომელმაც დიდი შრომა მოანდომა ვიდრე საქმეს მოაწყობდა და ადვილი შესაძლებელი იყო, ეხლა რომ ყოფილიყო ეს საზოგადოება, მაშინდელ განხეთქილებას ადგილი აღარ ჰქონოდა.

ამ წერილით გვინდა გავახსენოთ თელაველ ქართველ ქალებს, რომ ის საქმე, რომელიც მათ ამ 12 წლის წინედ დაიწყეს და გამოცდილებიც არიან, სხვაგან—ტფილისში, გორში და სხვ. ეხლა იწყობენ—ადგენენ ასეთ საზოგადოებას და ჩვენი ქალები კი გულდინჯად უცქერიან, არაფერსა ფიქრობენ, თითქოს თავის გართობა მარტო ლოტოში და უაზრო სეირნობაში გამოიხატებოდეს. ხომ შესაძლებელია, თუ მაშინდელმა ქალთა საზოგადოებამ „ყრუ მაიკოს“ ლოტოს და „პიკნიკებს“ უქცია ზურგი, ისე კიდევ დღევანდელმა ქალების ახალმა საზოგადოებამ კლუბის ლოტოს და მწვანე მაუდს აუხვიოს გზა.

დრო არის თელავის ქალებმაც მოიგონონ წინანდელი ქალთა წრეები, შეერთდნენ და ქართველ ქალთა საზოგადოება დაარსონ, რომლის საჭიროებას დრო და გარემოება ეხლა უფრო გვიკარნახებს, რადგანაც სხვა ამგვარ უკვე არსებულ საზოგადოების შეკავშირებით უფრო ნაყოფიერად შეუძლიან მოაწყონ თვისი მოქმედება..

დავიწყებული.

უცხოეთი

კავალკი-მუსტაფას დაპატიმრება.

რუსეთის გემზე „დიდი მთავარი კონსტანტინეზე“ დააპატიმრეს მაჰმუდ-შევკეთ-ფაშას მკვლელი კავალკი ფაშა. ფაშას სიკვდილის დასჯა ჰქონდა გადაწყვეტილი. მაჰმუდ-შევკეთ-ფაშის მოკვლის მეორე დღეს კავალკი-მუსტაფა საფრანგეთის გემით საბერძნეთში გაიქცა. ოსმალეთის საიდუმლო პოლიცია მთავარ ჯაშუში აზიმ-ბეის მეთაურობით სდევნიდა მკვლელს. ოსმალეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში დეპეშა მივიდა საბერძნეთიდან, ატყობინებდნენ, კავალკი-მუსტაფა რუსეთის გემით ოდესაში მიდისო. როდესაც გემი „დიდი მთავარი კონსტანტინე“ სტამბოლის ნავთსადგურში მივიდა, გემზე გაჩნდნენ გადაცმული ჟანდარმები. აზიმ-ბეიმ გემის უფროსს მოსთხოვა, დამნაშავეს გაცემა. ამაზე უფროსმა უპასუხა, რომ მას ნება არა აქვს რუსეთის ქვეშევრდომი რუსეთის კონსულის ნება დაურთველად გასცეს. (კავალკი ფაშას რუსის ქვეშევრდომის პასპორტი ჰქონდა). აზიმ-ბეიმ მაშინვე აღუთქვა, რომ ელჩის ნებართვას მისცემს. მართლაც, რამდენიმე წუთის შემდეგ მოიტანეს რუსეთის ელჩის წერილი, რომლითაც გემის უფროსს ნებას აძლევდა გაეცა კავალკი-მუსტაფა; როდესაც მკვლელის შესაპყრობლად მივიდნენ, ვინც უნდა ჩასულიყო ტრიუმში ყველას ემუქრებოდა მოკვლას, ვინც კი გაჰბედავდა და ფეხს შესდგამდა. მაშინ კაპიტანი ჩავიდა გემში და კავალკის დაუყვირა:

„გამოდით, თორემ მანდვე გაგაქრობთო“ ჟანდარმები შევარდნენ ტრიუმში და შეიპყრეს მკვლელი. კავალკი—მუსტაფა ოსმალეთის ციხეში ჩაამწყვდიეს.

მცოდნე პირთა სიტყვით, რუსეთის ელჩს არავითარი უფლება არა ჰქონდა გაეცა რუსეთის გემზე მყოფი პოლიტიკური დამნაშავე. ელჩი საქმის ვითარებასთან არა ყოფილა გაცნობილი და აჩქარებით მოუწერია ხელი უბრალო ქაღალდზე. ძველი ოსმალონი აღშფოთებულნი არიან რუსეთის ელჩის საქციელით.

მხოლოდ რუსეთის მთავრობას შეუძლიან მსგავსი რამის ჩადენაო! ამბობენ გულის-წყრომით.

კავაკლი—მუსტაფას ციხეში საშინელი წამება დაუწყეს; ოსმალეთის მთავრობასა ჰსურდა მკვლელს სხვა შეთქმულნი გაეთქვა.

რუსეთის ელჩმა მოიწადინა შეცდომა გაესწორებინა და კავალკის დაბრუნებას მოითხოვდა. ოსმალეთის მთავრობამ უპასუხა, საუბედუროდ თქვენს თხოვნას ვერ დავაკმაყოფილებთ, რადგანაც კავალკი-მუსტაფამ ციხეში „თავი მოიკლაო“. ხმები დადის, რომ ციხეში კავალკი-მუსტაფა ოსმალეთის მთავრობამ მოჰკლა.

ბულგარეთის მეორე ომის დამნაშავე.

ბულგარეთის გაზეთმა „სტამპამ“ ამ დღეებში დასტამბა წერილი სათაურით: „გენერალი სავოვი“, რომელმაც მღელვარება გამოიწვია არამც თუ ბულგარეთში, არამედ უცხოეთის პრესაშიც. წერილში ნათქვამი: ეჭვი არ არის, რომ ბულგარეთის მეორე ომის პასუხს გება გენ. სავოვს ედება, ისე როგორც მეფე ფერდინანდს. პირველი უკვე დაბრუნდა სოფიაში, მეორეს გაფაციცებით ელიან. მათ შორის გაცხარებულ ბრძოლას ელიან. ერთი მათგანია უნდა დაეცეს, მაგრამ რომელი? თუმცა გენ. სავოვმა მახლობელ მეგობრებს განუცხადა, რომ მას ხელთ აქვს წერილობითი საბუთები, რომელთა მიხედვით საბოლოოდ დაამტკიცებს, რომ მოკავშირეთა საწინააღმდეგო ხმების გავრცელებაში დამნაშავე მეფე ფერდინანდი იყო და მისი მხურვალე სურვილი სამხედრო სამართალში მიეცათ იგი მაგრამ საეჭვოა, სავოვს ნაკლები დანაშაული მიუძღვოდეს ვიდრე მეფე ფერდინანდს. გენერალი სავოვი წინდაწინვე განწირულია. მეფე ფერდინანდთან შეტაკების დროს იგი უნდა დაიღუპოს. ჩვენ ვფიქრობთ—უმატებს გაზეთი—რომ გენ. სავოვს დიდი ხნის სიცოცხლის იმედი არ უნდა ჰქონდეს თუ, მართლა, ხელთ აქვს ისეთი საბუთები, რომელიც ნამდვილად დაამტკიცებს, რომ მართლა მეფე ფერდინანდია მიზეზი საბერძნეთისა და სერბიის წინააღმდეგ ომისა. ამ შემთხვევაში, ალბად სავოვს ისეთივე ბედი მოელის, როგორც სტეფანე სტამბულოვს“.

თეატრი და ხელოვნება

ქ. ბათუმი. 23 ნოემბერს ადგილობრივი ქართული დრამატიული დასის მიერ წარმოდგენილ იქმნა ალ. ყაზბეგის ისტორიული პიესა „კონსტანტინე ბატონიშვილი“ ქეთევან წამებულის ცხოვრებიდან... ეს პიესა ამორჩეულ იყო ალ. ყალაბეგაშვილის საბენეფისოდ, რომელსაც წელს შეუსრულდა ათი წლიწადი სასცენო ასპარეზზედ მუშაობისა—პიესამ მოლოდინს გადააჭარბა თვისი მრავალი ეფექტიური-ადგილებით და დიდის ყურადღებითი ისმნება. უმთავრეს როლს ბატონიშვილისას ასრულებდა თვით მობენეფისე—ყალაბეგაშვილი, რომელმაც ცოცხლად და გრძნობიერად ითამაშა. ქეთევანის როლს ქფ. მესხი ასრულებდა, რომელიც, რა თქმა უნდა, საუკეთესოდ თამაშობდა, მაგრამ როლის უცოდინარობა უშლიდა ხელსა... შერმაზინ ჩოლაყაშვილს (კორიშელს) არა უჭირდა-რა. კარგი იყო გოჯასპირ (ალულიშვილი). მას ხელს უწყობდა მშიული კილო და ტლანქი მიხვრა მოხვრა... შ. დადიანი (შაჰი) ამ ჯერათ სუსტობდა... შეუფერებელი იყო ანდრონიკაშვილისათვის მამაკაცის როლი—თეიმურაზ ბატონიშვილი—იგი ყოველთვის განირჩევა სხვა მსახიობთაგან თავისი ერთ კილოვანი კილოთი—და ამ ჯერათ ხომ სულ არ უხდებოდა მას მამაკაცის როლი... დანარჩენები ხელს უწყობდნენ საერთო ანსამბლს... მობენეფისეს საჩუქრები მიართვეს.. საზოგადოება ამ წარმოდგენას ძალიან ბევრი დაესწრო. წინა დღეებში წარმოდგენილი იყო პირველად ბათუმის სცენაზედ შალიკაშვილის პიესა „უნიადაგონი“, რომელმაც ვერ მოახდინა ჯეროვანი შთაბეჭდილება მაყურებელზე: რამდენადაც „გადაჭრილი მუხა“ იმავ ავტორისა კარგი იყო და შთაბეჭდილება დატოვა მაყურებლებზე იმდენად „უნიადაგონი“ სუსტი იყო. მოთამაშენიც თავის ადგილას არ იყვნენ, უხერხულად გრძნობდნენ თავის თავს... რა თქმა უნდა, კარგი ტიპებიც მოიპოვებიან ამ პიესაში, მაგრამ, ნაკლებ...—ხვალ იმეორებენ სენკევიჩის მოთხრობიდან გადმოკეთებულ პიესას; „ვიდრე ხვალ უფალო“.. 27 ნოემბრისათვის საგასტროლო (გუნიას) წარმოდგენაა დანიშნული „ოტელლო“

ტრ. ი—ძე.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

26 ნოემბერი

უცხოეთი.

ლონდონი. სუფრაჟისტი ქალი პანკერსტი შიმშილობის შემდეგ ციხიდან გაანთავისუფლეს.

მექსიკო. ჯარში ბრძანება გაიცა პატივისცემით მოეპყრან უცხო ხალხს, აკრძალულია მათი დევნა და ყოველგვარი შევიწროვება.

პარიზი. დუმერგმა კაბინეტის შედგენა იკისრა.

ლვოვი. აკურთხეს პოლონელ პატრიოტის ავსტრიის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარედ ნამყოფ სმოლკის ძეგლი. ძეგლის კურთხევას დაესწრნენ მინისტრები, პალატის თავმჯდომარე და დეპუტატები.

პარიზი. ახალი კაბინეთის მოსალოდნელი შემადგენლობა: მინისტრ-პრეზიდენტი და გარეშე საქმეთა—დუმერგი, შინაგან საქმეთა მინისტრი—რენო, იუსტიციისა—ბიენვენიუ—მარტენ, ფინანსთა—კაიო, სამხედრო — ნულიანსი, საზღვაო—მონისი, განათლებისა—ვივიანი, საზოგადო საქმეთა—მალვინი, ვაჭრობისა—დავიდი, მიწად-მოქმედებისა—რენო, კოლონიებისა — ლებრენი, შრომის მინისტრის კანდიდატურა ჯერ არ არის გამორკვეული.

რომი. პარლამენტში მომხდარ ინციდენტის გამო მოხდა დუელი ლიბერალ ჰამბრტასა და სოციალისტ დეფილიჩეს შორის. ჰამბროტა მსუბუქად დაიჭრა.

ბერლინი. იმპერატორმა მიიღო გერმანიის სამხედრო მისია, რომელიც ოსმალეთში მიემგზავრება. მისია ოთხი წლით არის მიწვეული ოსმალეთში.

პარიზი. „ტანი“ და „ჟურნალ-დე-დება“ მკაცრად აკრიტიკებენ დუბერგუს კაბინეთს. კაბინეთს ნაკლად უთვლიან, რომ მის წევრებს საზღვარ-გარედ საკმაო სახელი და პატივისცემა არა აქვთ მოხვეჭილი. იმასაც აღნიშნავენ, რომ დუბერგუმ სრულიად შემთხვევით იკისრა გარეშე საქმეთა მინისტრობა, მდგომარეობის გართულება მოსალოდნელია, ვიდრე მინისტრები თვის საქმეს გაიცნობდნენ. შინაგან საქმეთა მინისტრი რენო რესპუბლიკანელ მინისტრთა ერთსულოვნობაში განხეთქილებას შეიტანსო.

რუსეთი.

პეტერბურგი. (ოფიციალური ცნობა). გაზეთ „როსიაში“ დაბეჭდილია შემდეგი მეთაური წერილი: „ეხლოხან მივიღეთ „ეკო-დე-ბიულგარის“ ნომერი მეთაური წერილით, რომლის შინაარსიც ტელეგრაფით იყო მოყვანილი. სიამოვნებით აღნიშნავთ, რომ წერილის გაცნობამ უფრო კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე ვიდრე დეპეშით გადმოცემამ. მიუხედავად თავაზიანი კილოსი, წერილში ისეთი ადგილებია, რომელთა სიმართლის აღსადგენად საჭიროა განმარტება. სოფიის გაზეთი სწერს: რუსეთისადმი სიმწარის გრძნობამ მაშინ იჩინა თავიო, როდესაც ისეთი შთაბეჭდილება მივიღეთ (შეიძლება შემცდარიც იყოს) რომ რუსეთი არ წავიდა სერბიის იმ სურვილების წინაალმდეგ, რაც ხელშეკრულებას ეწინააღმდეგებოდა და ამით რუსეთმა უღალატა თვის შუამავლობის მოვალეობასო.

სოფიის გაზეთმა სამართლიანად შეჰნიშნა, შეიძლება ეს შთაბეჭდილება შემცდარიც იყოსო. მართლაც, ჩვენ მიერ შუამავლობის ასრულებას შეეძლო მიეცა სამართლიან მსჯელობის საბუთი, მაგრამ ეს არ მოხდა. ამაში არ არის დამნაშავე რუსეთი და არც თუ სერბიას მიუძღვის რამე ბრალი. ბოზჩევის წერილი, რომელზედაც ჩვენ მიუთითეთ, ნათელ ჰყოფს რუსეთის მიუდგომლობას. მართალია, პირველადვე, როგორც კი ბულგარეთ-სერბიის უთანხმოებამ თავი იჩინა, რუსეთი ურჩევდა ორივე მხარეს თვითვე მორიგებულიყვნენ, რისთვისაც შუამავლობა სრულიად მეტი იყო. უკანასკნელს ჩვენ არ გაურბოდით, მაგრამ ბულგარეთს ურჩევდით, მისდა ინტერესების გულისთვის, დათმობის გზას დასდგომოდა. თუ კი ბულგარეთმა არ შეისმინა ჩვენი რჩევა, არ დაადგა ამ გზას, განა ჩვენ უნდა გვისაყვედურონ? სავალალოდ, არა მარტო რჩევა არ შეისმინა, ჩვენი სურვილიც არბიტრაჟის განხორციელებისა არ შეიწყნარა, თუ კი წინდაწინვე ბულგართა მოთხოვნილებას არ დავაკმაყოფილებდით. ყველა ამის შემდეგ ფრიად საძნელოა ვიფიქროთ, რომ კიდევ შესაძლებელი ყოფილა საქმის გაუგებრობა.

რაც შეეხება უნიის სასარგებლო მოძრაობას, დარწმუნებულნი ვართ, ბულგარეთში მართმადიდებელ სარწმუნოების საქმეს საფრთხე არ მოელის; მაგრამ მაინც უნდა ვთქვათ, ამ მოძრაობას რუსეთი არ ამართლებს და ბულგარეთის აზრს არ იზიარებს“.

პეტერბურგი. სახალხო განათლების კომისიამ მოიწონა კანონ-პროექტი, რომელიც ითხოვს ხაზინიდან კრედიტის გაღებას საკომერციო სასწავლებლებში აღმოსავლეთის ენათა კათედრის დასაარსებლად.

პეტერბურგი. იუსტიციის მინისტრმა მინისტრთა საბჭოში კანონ-პროექტი შეიტანა. კანონ-პროექტით განსაზღვრულია იმპერიისა და ფინლანდიის სისხლის სამართლის კანონთა ურთიერთობა.

წერილი რედ. მიმართ

ორიოდე სიტყვა

ბ.ბ. არგუსსა და სალომეშვილს.

„მერცხლის“ 93 №-ში მოთავსებულია არგუსისა და სალომეშვილის პასუხი ჩემი და გ. მ-ის წერილისა, რომელიც დაბეჭდილი იყო „სახალ. გაზ.“ 23 მაისის ნომერში. ჩვენ ამხანაგების მონდობილებით სამედიატორო სამართალში ვიწვევდით იმათ და ნაცვლად გამოყოლისა გაკვირვებას გამოსთქვამენ: რად დაგვჭირდა ჩვენი გამოწვევა, როდესაც ბრალდებულნი არა ვართო. საქმის ვითარების სინათლის მოსაფენად მოკლედ შევეხები გამოწვევის ისტორიას: როცა დიდი ხნის განგაშის შემდეგ დაიბეჭდა არგუსის „vae victis“, ქორების თხზამ მოლოდინს გადააჭარბა. შეუძლებლად ვსცანით ჭეშმარიტების გამორკვევა პრესის საშუალებით და გვინდოდა სამედიატორო სასამართლო დაგვენიშნა. რადგან აპრილის მიწურულ რიცხვები იყო, გაზეთის საშუალებით რომ გამოგვეწვია, მაისის დამლევამდი ვერ მოვასწრებდით საქმის გარჩევას. ამისათვის ამხანაგების თანხმობით ჩვენმა წრემ მიჰმართა დასელების წრეს ეშუამდგომლათ კორესპონდენტებსა და ჩვენ შორის, რათა პირველნი სამართალში გამოგვყოლოდნენ. მათ წრემ „პრინციპიალურად“ შესაძლოდ არ სცნო შუამდგომლობა და მოგვისპო საშუალება შარშან გაგვერჩია საქმე.

შემდეგ ამხანაგების მონდობილობით გამოვიწვიეთ გაზეთის საშულებით და საქმის გარჩევა გადაიდო ამ მდგომარე სააკადემიო წლისთვის. ეხლა გამოყოლის ნაცვლად აი რას სწერენ:

1. წრე რად გვიწვევს სამართალში, როდესაც მას არაფერს ვაბრალებთო. ამაზე უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენ წრეს არ გამოუწვევიხართ. გამოგიწვიეთ ჩვენ ამხანაგების მინდობილობით, როგორც ამას ჰმოწმობს თქვენი პასუხის პირველი სტრიქონი: „თქვენ ამხანაგების მინდობილებით გვიწვევთ სამედიატორო სამართალშიო...“ ცხადია თქვენ გცოდნიათ, რომ წრე არ გიწვევდათ სამედიატორო სამართალში.

2. შემდეგ ეხებით ევგ. გეგეჭკორის წინააღმდეგ პროტესტზე ხელის მოწერას და განაგრძობთ: „სწორედ ესენი გვყავდა მხედველობაში, როდესაც ვწერდით: ზოგმა მონაწილეობა მიიღო რექტორის ოვაციაში, ზოგმა ხელი შეუწყო. .“ და სხვ. რაც ორმ არ გინდათ გაიხსენოთ, რომ ოვაციაში მონაწილეობა მიიღეს დასელებმაც. ხომ განგიმარტავთ ლოტბარმა—მის დასელობას ხომ არ უარჰყოფთ?—რომ „მრავალ ჟამიერს“ მასთან ერთად 4 სხვა დასელიც ჰგალობდა რექტორის სადღეგრძელოდ.

3. „ჩვენ არ ვიცით რა უნდა გაარჩიოს სასამართლომაო“... ნუ თუ ძნელი გასაგები იყო თქვენთვის, რა უნდა გაერჩია სასამართლოს? ჩვენ გვსურდა (ეს თქვენც იცით) სასამართლოს გამოერკვია: მარტო თქვენ მიერ ნიშანში ამოღებულ „მამულიშვილებს“ მიუძღვის თუ არა ბრალი იმ ინციდენტებში, რომელთაც ადგილი ჰქონდა შარშან კიევ. ქართ. სტუდენტობაში, თუ ამ ინციდენტებში ერთნაირად არიან ჩარეულნი ქართველ სტუდენტობის ყოველნაირ რწმენის მაღიარებელნი, მათ შორის დასელებიც.

4. შემდეგ განაგრძობთ: ოქმში დაგმობილია ქართველი სტუდ. საქციელიო და ჰკითხულობთ: „მერე ვინ არიან იგინი? დასელები ხომ არაო“? იქ დაგმობილია ეს საქციელი და არა რომელიმე ნაწილი ქართ. სტუდენტობისა. დაამტკიცეთ ბ. ბ. არგუს და სალომეშვილო, რომ რწმენით თქვენი ამხანაგები არ არიან ლოტბარი ს. ი— ლი; შ. საბ—ლი; ვ. რ—ლი და სხ. და შემდეგ განაცხადეთ, რომ დაგმობილთა რიცხვში დასელები არ შედიანო.

5. შემდეგ გვეკითხებით: „განა რომელიმე „მამულიშვილმა“ ოდნავ მაინც სცადა, ოდნავ მაინც უარჰყო პრესაში ჩვენი ბრალდებაო?“ კარგათ მოგეხსენებათ ბ. არგუს-სალომეშვილო, ჩემი აზრი პრესაში ამ ამბის გადატანის თაობაზე. მე თქვენ პირადათ განგიმარტეთ, რომ ყველაფერი ეს არა სასურველი კინკლაობაა და შეუძლებლად ვსთვლიდი პრესის საშუალებით ჭეშმარიტების აღდგენას. მაშინ არგუსისგან ასეთი პასუხი მივიღე: „რათა, მე, მაგალითად კინკლაობად არ მიმაჩნიაო“. სჩანს ბ. არგუს-სალომეშვილს ეხლაც დიდი საქმედ—იქნებ პუბლიცისტობადაც, მიაჩნია ასეთი ქორების გავრცელება და კინკლაობა. გისურვებთ კეთილ გზას. მე კი ვერ ვივლი მაგ გზით.

6. „ბ.ბ. მელითაური და კობახიძევ, რად დაგჭირდათ ჩვენი სამედიატორო სასამართლოში გამოწვევა, როდესაც პირადად თქვენ ოვაციის გამართვაში ბრალს არ გდებთო“. ჩვენ გიწვევდით სამედიატორო სასამართლოში ქართვ. სტუდენტობის განსაზღრულ ჯგუფის მინდობილობით. ამ სახით გამოწვევა მიღებულია ყველა მიმართულებათა მიერ და ამ შემთხვევაში თქვენი გაკვირვება ყოველ ნიადაგს მოკლებულია, მით უმეტეს რომ დღემდი ბრალსა გვდებდით ყველას ერთად, ვინც კი ვიყავით თქვენი იდეური მოწინააღმდეგენი.

7. თქვენა ბრძანებთ: „თუ რაიმეს გძრახავთ (მე და გ. მელ—რს—კ. კ.) ეს ისაა, რომ „მამულიშვილთა“ სამარცხვინო საქციელი პრესაში არ დაჰგმეთო“. უნდა მოგახსენოთ აქ მამულიშვილობა არაფერ შუაშია. მონაწილეობა მიიღეს კიევ. ქართ. სტუდენტობის სხვა და სხვა მიმართულების მაღიარებლებმა და თუ თქვენ კეთილ-სინდისიერი მოტივი გამოქმედებდათ, რატომ არ დაჰგმეთ რწმენით თქვენი ამხანაგი ლოტბარი და ოთხიც სხვა ოვაციაში მონაწილე დასელი.

8. მეტად ყურადსაღებია ამ წერილში თქვენი განცხადება: „საქმე გვაქვს წევრებთან და არა წრესთან (?)ო“. ეს სიტყვები ცხადად ჰმოწმობენ, რომ თქვენ კერძო პიროვნებებზე დაიწყეთ ლაპარაკი. რატომ აქნობამდე არ იქცეოდით აგრე? ბ. მოსულმა „მამულიშვილებად“ მონათლა იდეიური მოწინააღმდეგენი; ეს ტერმინი ხმარებაში შემოიღო დასელების პრესამ და თქვენც ბ. არგუს—სალომეშვილო, ამ მნიშვნელობით ხმარობდით აღნიშნულ ტერმინს. თქვენს წერილებში ცხადად სჩანდა, თუ ვის ჰგულისხმობდით, როდესაც მამულიშვილობაზე ჰლაპარაკობდით. ეხლა ამას უარჰყოფთ და ეს საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ გამოწვევის მიზანი უმთავრესად მიღწეულია: თქვენ თვითონ სცანით სიმართლეს მოკლებულად ჩვენ წინააღმდეგ „გალაშქრება“.

9. „დასასრულ, განაგრძობთ თქვენ, თუ ვინიცობაა ზემოდასახელებულ მამულიშვილებმა მოიწადინეს ჩვენი სამართალში გაწვევა—აუცილებლივ უნდა წარმოგვიდგინონ სია იმ 150 სტუდ.....“ რომელთაც ევგ. გეგეჭკ- წინააღმდეგ პროტესტს ხელი მოაწერაო“.

რა კავშირი აქვს ამას პროტესტთან? აქ ერთი გაუგებრობაა აღსანიშნავი: თქვენ ზევით განაცხადეთ, კერძო პირებთან გაქვთ საქმე და არა ყველასთანაო. ამის მიხედვით მე და ჩემი ამხანაგი გ. მ—რი გაგვანთავისუფლეთ. ეხლა მოითხოვთ სიას. თუ ყველასთან გაქვთ საქმე, რას ნიშნავს მაშინ თქვენი რამოდენიმე სტრიქონით ზევით განცხადება, ან რატომ ჩვენ არ გამოგვყევით სასამართლოში? თუ კი კერძო პირებთან გაქვთ საქმე—რაღად გინდათ ჩვენი რაოდენობა და პროტესტზე ხელის მომწერნი.

ამ გაუგებრობის გამო აქ ერთი რამ განმეორებით უნდა შევნიშნოთ: რადგან საქმე გქონდათ მხოლოდ იმათთან, ვინც როგორიმე მონაწილეობა მიიღო ინციდენტში, მაშინ თქვენ უნდა დაგესახელებინათ, ვისაც სდებდით ბრალსა და სხვათა შორის თქვენი ამხანაგებიც: საბ. კომისიის წევრი შ. საბ—ლი*); ლოტბარი ს. ი—ლი და გუნდში მონაწილე ოთხი სხვა დასელიც.

10. დასასრულ პარტიობას ეხებით და ჩვენც გვდებთ ბრალსა. აქ ხომ მაინც გვქონდა უფლება სასამართლოში გამოწვევისა. რად იუარეთ სამართალში გაყოლა? უკანასკნელად გაგიმეორებთ ჩემს აზრს: პრესას კინკლაობის სათერეშოდ ვერ გავხდი და აქ ვერ შეუდგები საქმის განმარტებას. თქვენ რომ სიმართლე გქონოდათ, არც დაიხევდით უკან და საქმის გამოსარკვევად გამოგვყვებოდით კიდეც. მაგრამ ეს არ ინებეთ რადგან გრძნობდით თქვენს სისუსტეს. ყველასთვის აშკარაა, სასამართლოს გაექეცით და ნაცადი ღონის სძიება—ლანძღვა და სიმართლის გადამახინჯება — მოიშველიეთ. ეს გზა თქვენთვის დაგვილოცნია. ამისთვის ვსპობ ჩემის მხრივ ამ საგანზე სამუდამოდ კამათს.

კ. კობახიძე.

---

*) ერთს თქვენს წერილში, ბ. არგუს, ამბობდით: შ. საბ—ლი წინააღმდეგი იყო რექტორის მოწვევისაო. ბ. x-მა წარსულ ივლისს „მერცხლის ერთ-ერთ №-ში გამოაცხადა: შ. საბლი მომხრე იყო რექტორის მოწვევისაო“ ბ. არგუს, იქნებ ეს თქვენი განცხადებაც არ იყო სიცრუე?

რედაქტორი **ნ. კურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**

სპერმინი

სპერმინ-პელი ერთად-ერთი ნამდვილი სპერმინი, ყოველ-მხრივ ნაცადია და მიღწეული ბრწყინვალე შედეგების წყალობით, მოწონებულია მთელი ქვეყნიერობის სახელგანთქმულ მეცნიერების მიერ და მითი წამლობას ურჩევენ ნევრასტენიისა, სქესობრივი უძლურებისა, დაჩაჩანაკებისა, საერთო სისუსტისა, ისტერიისა, ნევრალოგიისა, სისხლ-ნაკლებობისა, პლექსისა, ათაშანგისა, ვერცხლის წყლით წამლობის შედეგებისა, გულის ავადმყოფობისა (სიმსუქნე, გულის ფრიალი, სკლეროზი, გულის ჩქროლა, გულის ცემა და მიკორდიტი), არტერიო სკლეროზისა, ლოთობისა, ხერხემლის ძვლის გახმობისა, დამბლობისა, დაღლილობისა და სხვა ავადმყოფობის წინააღმდეგ. ყურადღება უნდა მიაქციოთ სათაურს:

სპერმინ-პელია,

და მოერიდეთ უფასო უვარგის მიბაძვას, ეგრედ-წოდებულს სათესლე ძარღვების წვენს, რომელნიც სპერმინ-პელიასთან არც შემადგენლობით და არც მოქმედებით არავითარი საერთო არა აქვთ და ხშირად ჯანმრთელობისთვის საშიშ ნივთიერებას შეიცავენ. სპერმი-პელია ყველგან იშოვება..

პროფესორი ექიმი პელი და შვილები, ს.-პეტერბურგი.
Поставщики Двора Его Императорскаго Величества.
Метцль. 111309. 1443

ავადმყოფებს!

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა

გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება:

წიგნები: ისტორიისა, სექლესიო და საისტორიო მასალები:

ქართლ. ცხოვრ. მარიამ დედ. ვარ.	3 მ.
საქართ. ისტორია ვახუშტისა,	2—
,, ,, ბაქრაძისა,	1—
,, ,, 1-ლი ნაწ. ბროსესი,	70 კ.
,, ,, 2-რე ნაწ. ,,	70 ,,
ხახანაშვილი ალექსანდრე. ბატონ-ყმობა საქართველოში,	—50 ,,
იმერეთის მეფე სოლომონ მეორე,	—25 ,,
პარიზის ქრონიკა,	—30 ,,
Жизнь и дѣятельность Католикоса Антонія, I,	—40 ,,
Багратъ Епископъ Товроменійскій	1—
Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи,	—60 ,,
Матеріялы по Грузин. агіологіи	—80 ,,
Правила VI Всел. Соб.	1—— ,,
ხელთუფლიშვილი. Вступленіе Грузіи въ составъ Россійской имперіи,	40 ,,
ხოჯელი Къ 100 лѣтію Крцанисской битвы,	—30 ,,
ახალი წიგნები:	
ქართული ენისთვის ბრძოლა, თ. ჟორდანიასი,	—20 ,,
ისტორიული საბუთები წ. 2-რე ს. კაკაბაძე,	—85 ,,
ორი ლექცია, ბ. ხერხეულიძისა,	—30 ,,

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1917

მატარებელთა მიმოსვლა

18 აპრილიდან
(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** სღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** სად. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადმზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **საბ.** დილ. 8 ს. 2 წ. № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

ჯულფისაკენ: **საფ.** № 4/3, შუადღ. 12 ს. 30 წ.

ყარსისკენ: **საბ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24/23, **საბარგ.-სამგზ.** სად, 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**— პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, სად. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** სად. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** სად. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს 12 წ.

ჯულფიდან № 413 სატვირთო 7 საათსა და 32 წუთსა საღამოთი.

ერევნიდან № 26/25 საქონლის და სამგზავრო 10 საათსა და 50 წუთზე დილით, მე-2 და მე-3 კლასის ვაგონით.

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

დ ი ლ ი თ:

„606“ და „914“

11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტაციურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. ავახოვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ხერვებისა.

ზ. ი. ბაზანახოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულიანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი აბავშვთა და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

ა. დ. გურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერეოლოგ. გამოკვლევა. ხაღამოთით 6—7 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები ძალიან იაფად.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინისდ
1114 ქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები	
1—2	**გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4	**მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6	**ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7	**პ. ლ. კიკოლაშვილი** (ავლაბარი, კახეთის ქ. № 2, ტელეფ. 15—27).
8—9	**ე. ა. მელიქ-შახნაზაროვი** (გუნიბის ქ., № 23).
10, 11—12	**ი. გ. ტერ-ნიკოღოსოვი** (მიხეილის ქ., № 169, ტელ. № 935).

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან.

ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.

კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმ. დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. სადამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 სათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

დაიწყო ბეჭდვა და ამ წლის დეკემბრის ოცში გამოვა გასასყიდად ახალი გამოცემა

„ვეფხის ტყაოსნისა“

სერგის კაკაბაძის რედაქტორობით.

წიგნი იმ გვარად იქნება დაწყობილი, რომ ნაჩვენები იქნება, თუ როგორ თანდათან საუკუნეების განმავლობაში თითოეულ რედაქციის გავლის შემდეგ 1,500 ტაეპიანი „ვეფხის ტყაოსანი“ გარდაიქცა 2,400 ტაეპოვნად. თითოეული რედაქცია სხვადასხვა იქნება ნაჩვენები. წიგნს თან დაერთვის ვრცელი გამოკვლევა, რომელშიაც განხილული იქნება „ვეფხის ტყაოსანი“ და მისი რედაქციები, აგრეთვე თუ ვინ იყო და როდის ცხოვრობდა შოთა რუსთველი და რამოდენიმე „ვეფხის ტყაოსნის“ უმთავრესი კომენტატორი. ბოლოს დართული ექნება სრული ვარიანტები წერა-კითხვის საზოგადოების ხელთნაწერების მიხედვით და კიდევ უცხო და საკუთარ სიტყვათა ლექსიკონი. წიგნი დასურათებული იქნება, იბეჭდება კარგ ქაღალდზე და ეღირება სამი მანეთი. ვინც 10 დეკემბრამდის დაიკვეთს და ფულსაც შემოიტანს, მისთვის ეღირება 2 მანეთი. ვინც 10 დეკემბრამდის დაიკვეთს ხოლოდ არა ნაკლებ ხუთი ცალისა, მას თითო წიგნი დაუჯდება 1 მან. 75 კაპ. წიგნის დაკვეთა შეიძლება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში (სასახლის ქუჩაზე) და თვით გამომცემელთან. ტფილისში აგენტობა მინდობილი აქვს სპირიდონ ფიცხელაურს. ტფილისის გარედან ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Высшіе Женскіе Курсы. Сергѣю Нестеровичу Какабадзе. 1593

Верійская парная баня

ვისაც გსურთ ბანაობა, მობრძანდით და იბანეთ

ზ. ი. აბრამაშვილის აბანოში

ევროპიულად მორთულ ორთქლის აბანოში

ვერის დაღმართზე, (Верійскій спускъ, № 7),

ქალაქის შუა ადგილას, საიდანაც ტრამვაის საშუალებით ყველა დაწესებულებას ადვილად და იაფად მისწვდებით.

გვყავს ქართველი და სპარსელი გამოცდილი მექისეები.

განათებულია ელექტრონით.

ღია არის დილის 6 ს.-დან ღამის 12 ს.-დე, ხოლო კვირაობით—დილის 6 საათიდან ნაშუადღევ. 2 საათამდე.

საერთო ნომრები ცალ-ცალკე ქალებისათვის და კაცებისათვის 20 კ. **ცივი და ცხელი დუში** სტავილ-აზნაურო საერთოში 40 კაპ., ხოლო მოსწავლეებისათვის 30 კ. **ვანები** აბონემენტები (გრადუსით) 30 კაპ. ნომრების ფასი 60 კ. 1—50 კ. გვყავს პარიკ.-მახერი კვირა დღითაც საათის ორამდინ. 1602

მუდამ დღე მოგვდის

თევზის მრეწველნი

ძმ. ძებველოვები.

ახალ-ახალი მტკვრის თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.

აგრეთვე იყიდება მაილოვის ხიზილალა.

კოლოფით შიტკა და ხმელი სოკო აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მარტის დოში, იანი, შიპა, ზურგიელები** და სხვა ყოველნაირი **თევზეულობა** და **კონსერვები.**

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.

ტელეფონი № 712. 1560

გამოსულია და იყიდება

ნ. შიუკაშვილის

პიესა **„მეგობრობა“,** დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

ტფილისი, სტამბა „შრომა“ მუხრანის ქუჩა.